წელიწადი მესამე | ფასი 7 კაპ. | სამშაბათი, 10 იანვარი, 1917 წ. № 7

# საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე.
ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სრულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.
რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.
ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело“, поч. ящикъ № 76

განცხადების ფასი
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით [illegible] —20 [illegible] მიღებულ განცხადებათა [illegible] სტრიქონი პეტიტი 1 გვ. ღირება 50 კ. 4-ზე 30 კ., ტექსტში—80 კ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ ზომით 15×2 ღირს 6 მ.; 20×2 ღირს 8მ., 25×2 ღირს 10მ. 3 საათის შემდეგ (მიიღება მხოლოდ ა. კალანდაძის სტამბაში) ღირს. მეტი.
დამატებიანი № ღირს უველგან 10 კაპ.

## მიიღება ხელის მოწერა 1917 წ.

ყოველდღიური საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი

# „საქართველო“-ზე

### ყოველკვირეულ სურათებიან დამატებით

გაზეთი არის ეროვნულ-დემოკრატიულ მიმართულებისა. განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ჩვენი ქვეყნის ეკონომიურს ცხოვრებას: ვაჭრობა-მრეწველობისა და სასოფლო მეურნეობის წარმატებას, საჭროფესიო და სატეხნიკო ცოდნათა გავრცელებას.

გაზეთს საკუთარი კორესპონდენტები ჰყავს საქართველოს მნიშვნელოვან დაბა-ქალაქებსა და სოფლებში და აგრეთვე პეტროგრადსა და მოსკოვში.

**გაზეთის ფასი:** მთელის წლით—15 მან., ნახევარის წლით 9 მან., სამის თვით 5 მან., ერთის თვით ქალაქში 1 მ. 80 კ.

ქალაქ გარეთიდან გაზეთის გაწერა ერთის თვით ფოსტის საშუალებით არ მიიღება.

არა წლიურ ხელის მომწერთათვის გაზეთი თვის პირველ რიცხვიდან იქნება ნაანგარიშევი. წლიურ ხელის მომწერთათვის ფასის შემოტანა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება შემდეგის წესით:

ხელის მოწერის დროს 7 მან., პირველ მარტისათვის 5 მან. და პირველ ივნისისათვის 3 მან.

ვისაც სურს გაზეთის გაწერა წლიურად, ეს უნდა მოიხსენიოს პირველსავე ხელის მოწერის დროს. ✦ რედაქციის მისამართი: თბილისი, მოსკოვის ქ. № 4. ✦ კანტორა ღიაა: დილით 9—3 ს.-დე. სა ღ. 5—7-დე.

რედაქტორი: სანდრო შანშიაშვილი. გამომცემელი: ამხანაგობა „საქართველო“.

---

გულ დათუთქული დედა კნ. ნატალია ნიკოლოზის ასული აბაშ ძისა, მეუღლე კონსტანტინე ბეჟანის ძე საბახტარიშვილი და ბიძები თავ. გრიგოლ და ლევან კონსტანტინეს ძენი აბაშიძეები, აუწყებენ ნათესავთა და მეგობართ

**ნინო (ნუცა) თავ. იასონ აბაშიძის ასულის**
**საბახტარიშვილის**

უდროოთ გარდაცვალებას.

პანაშვიდები ყოველ დღე, საღამოს 7 საათზე, ქაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში. ცხედარს გამოასვენებენ ქაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიიდან სამშაბათს, 10 იანვარს, ნაშუადღევს 4 საათზე, რკ. გზის სადგურზე, საიდანაც ღამის მატარებლით წაასვენებენ ქ. ქუთაისში. ქუთაისის სადგურიდან ოთხშაბათს, დილის 9 ს. ცხედარს წაასვენებენ საკრებულო ტაძარში. დაკრძალვა წირვის შემდეგ საფიჩხიის სასაფლაოზე. (3-466-2)

პელაგია იაკობის ასული, ბეჟან როსტომის ძე, ნინო სილიბისტროს ასული, იასონ ბეჟანის ძე, ივანე და ვასილი იასონის ძენი, თამარ და ქეთევან იასონის ასულნი საბახტარიშვილები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, პირველნი ოთხნი უძვირფასეს საყვარელ რძლის და დანარჩენნი ბიცოლას

**ნინო (ნუცა) იასონის ასულის**
**საბახტარიშვილის**

უდროოდ გარდაცვალებას. (2—466—1)

ელისაბედ ივანეს ასული, სოფიო დიმიტრის ასული, რუსუდან ნესტორის ასული, გიორგი და მიხეილ ალექსანდრეს ძენი და ალექსანდრე (საშა) გიორგის ძე საბახტარიშვილები ულრმესის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ პირველნი უძვირფასეს და საყვარელი რძლის და უკანასკნელი ბიცოლას

**ნინო (ნუცა) თ-დ იასონ აბაშიძის ასულის**
**საბახტარიშვილის**

უდროოდ გარდ ცვალებას. (2—466—1)

ელისაბედ ლევანის ასული, იაგორი (ძუკუ), ვლადიმერ (ძარგუ), ივანე (ბიდი) და გრიშა კონსტანტინეს ძენი, ლილია, ცაცუ, ადარა და მატრო კონსტანტინეს ასულნი წულეისკირის ძენი გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, პირველი თავისი უძვირფასესის შვილის და დანარჩენნი თავიანთი საყვარელ ძმის

**ნესტორ კონსტანტინეს ძის**
**წულეისკირის**

უდროოდ გარდაცვალებას. ცხედარს გამოასვენებენ მიხეილის საავადმყოფოდან დღეს, იანვრის 10, ნაშუადღევის 5 საათზე რკინის გზის სადგურზედ, საიდანაც წაასვენებენ ზუგდიდში. დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული.

**ხარფუხის საზოგადო კლუბი**
(მიხეილის პროსპექტი, № 163, საზამთრო შენობა)
სამშაბათს, 10 იანვარს,

**სინემატოგრაფი**
**სიმებიანი ორკესტრი**

სტუმრები საზოგადო წესით. ✦ დასაწყისი საღამოს $8^1/_2$ საათზე.

## გაზეთ „საქართველო“-ზე
### ხელის მოწერა მიიღება:

**თბილისში**—ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანტორაში ბ-ნ ვას. ედილაშვილთან.

**ქუთაისში**— 1) ჟურნალ გაზეთების კანტორა „იმერეთში“,
2) საურთიერთო ნდობის საზოგადოების ბანკში ბ-ნ რ. დათეშიძესთან, ბ-ნ ი. პურადაშვილთან,
3) მთავრიშვილის წიგნის მაღაზიაში ბ-ნ პ. გელაშვილთან.

**ბათომში** — ჟურნალ-გაზეთების კანტორა „განთიადში“, ბ-ნ მგალობლიშვილთან და ექ. მარუაშვილთან.

**ხონში** — მ. ჭავჭანიძის წიგნის მაღაზიაში.

**სამტრედიაში**—პორფილე ჭეიშვილთან.

**ჭიათურაში**—გალაქტიონ ქავთარაძესთან.

**ბაქოში** — ძმათა ბოსტალანიშვილების ავეჯეულობის მაღაზიაში და ალექს. ხიმ. ლორთქიფანიძესთან (კრასნოვოდსკაია ქუჩა № 10. ტელეფონი 47—90).

**გორში** — ძმათა რომანიშვილების მაღაზიაში.

**ზუგდიდში**— ბ-ნ პეტრე ქეიდიასთან (შემნახველ-გამსესხ. ამხანაგობაში).

---

მიიღება ხელის მოწერა 1917 წლის
იუმორისტულ ჟურნალ

**„ეშმაკის მათრახ“-ზე**

ფასი მთელი წლით: 7 მან. ნახევარი წლით 4 მ. სამი თვით 2 მან. თვეში 70 კ. ვისაც უნდა ჟურნალი 1 იანვრიდან მიიღოს, ფული ეხლავე უნდა გამოგზავნოს შემდეგის მისამართით: თბილისი, ფოსტის ყუთი № 96, სილ. თავართქილაძეს. (უ.)

---

ექიმი
**ფონ-ირტელი**
(მიხეილოვის პროსპ. 128, კრილოვის ქუჩის კუთხე, 1, შესავალი კრილოვის ქუჩიდან, სახლი ოჰანეზოვისა).

მოსკოვის ხაზაზინო საავადმყოფოს უოფილი ორდინატორი, სპეციალისტი დოსტაქრობისა, საშარდე მილისა, სქესობრივი ორგანოებისა, სიფილისისა და მის შედეგებისა (საშარდე მილის დავიწროება), სქესობრივი უძლურებისა, სიმსივნისა, ჭრილობისა, ბუასილისა, თეთრანასი, საშარდე ბუშტის სნეულებისა და საშვილოსნოსი. ორივე სქესის ავადმყოფების მიღება ხდება დილის $9^1/_2$-დან 1 საათამდე და ნაშუადღევის 5—9 საათამდე.
ერლიხის „914“ და „606“
შეშხაპუნება

---

ექიმი
**ივანე თიკანაძე**
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება საღამოს 5—7 საათამდე. მისამართი: კიროჩნის ქუჩა, 18.

---

ექიმი
**მ. ი. ვაჩნაძე**
იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულ. ავადმყოფებს მუდამ დღე, კვირა-დღის გარდა საღამოს 5—7 საათამდე, ბელინსკის ქ. № 4. (თ.—202—)

---

ექიმი
**მ. გ. ვეფხვაძე**
ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორად ნამყოფი, იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 საათამდე, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზიეზდის ქუჩა, № 19.

---

ექიმქა
**მ. გ. მუხაძე**
იღებს სადოსტაქრო ავადმყოფთ საღამოს 5-6 ს. მდე, კვირა დღეს გარდა
მისამართი: დიდი მთავრის ქუჩა № 67; ოფიცერთა საეკონომიო საზოგადოების შენობის პირდაპირ; სახლი სვანიშვილისა. ტელეფონი № 5—77.

---

გოლოვინის პრ. და სამხედრო ქუჩის კუთხეზე, ფოსტა-ტელეგრაფის პირდაპირ გაიხსნა
**ახალი აფთიაქი**
პროვიზორის ასლანიანისა

---

დოქტორი მედიცინისა
მოსე ანთიმოზის ძე
**კალანდარიშვილი**
უმფროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.
ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებით ავადმყოფებს მიიღებს ოლდას ქ. № 3.

---

ექიმი
**კ. ი. მვარჯალაძე**
შინაგან და ბავშვთა სნეულებიან
ავადმყოფებს მიიღებს ყოველდღე საღამოს 6—7 ს., კვირა დღის გარდა. ქსენიევის ქუჩა, № 4, სასტუმრო ვეტცელის გვერდით. ტელეფ. 15—00.

## შეგინებული წმიდა საფლავი

აბა ერთი დასთვალეთ, თუ რამდენი ქართველი იშვა და დაიმარხა მას აქეთ, რაც ქართველობა გაჩნდა. ისიც იანგარიშეთ, თუ სახელის უკვდავება რამდენმა შეინარჩუნა, თუ რამდენია, ვინც ჩამომავლობას ღვაწლი დაუვიწყარი დასდო და ერის პიროვნება ჩამოჰქნა? პირველთა რიცხვი მრავალთა უმრავლესია, მეორეთა-კი თითო-ოროლა. პირველნი სრულ დავიწყებას მისცემიან, სახელი მათი არავინ იცის, და არავის ახსოვს. ეს უსახელო ლეგიონია. მეორენი თან მოჰყვებიან ქართველთა მოდგმის შეუწყვეტელ მომდინარეობას. მათი სახელი ერთის თაობიდან მეორეზე გადმოდის, ვამაყობთ მათის სახელით, მათის ნაგრძნობით გრძნობას ვიფაქიზებთ, მათის ნააზრევით გონებას ვიმდიდრებთ. მთელის მათის პიროვნებით-კი ვმაღლდებით; მათის ამაგითაა, რომ კაცობრიობის დიდს ოჯახში ლამაზ ერად ვდგევართ. ჟამი ულმობელად ეკიდება ამ რჩეულთაც; ბევრს ამარცხებს და რჩეულთა შორისაც მხოლოდ უფრო რჩეულებს, მხოლოდ პირველებს იწყნარებს. თვით ჟამი მარცხდება ამათგან. და ეს ჟამზედ გამარჯვებული გმირები, რაც დრო გადის, საყოველთაო მოწიწება-პატივით იმოსებიან, ეროვნულის შარავანდედით ბრწყინდებიან. ესენი ჰკარგვენ ხორციელობას, ადამიანობის ამ მხრწნადსა და მომაკვდავს ნაწილს, და უხრწნელის სულიერის სახეობით მისცურავენ ჟამთა სრბოლაში. ამათ მიმართ ქვეყანა და ერი ღვთაებრივის მოკრძალებით აღივსება, კულტი და დიდება თანდათან იმკვიდრებს. მთელი ერი ასეთ რჩეულში ისადგურებს და თვით რჩეული კიდევ მთელს ერში, მის ყოველს ერთეულში. თანაზიარობა განსრულებული,—ცამდე ფაქიზი, უნივთო და, მაშასადამე, უანგარო თანაზიარობა! ასეთი რჩეულის ხელის წამოკრა—მთელის ერის ხელის წამოკრაა. ასერიგად გაღვთაებრივებულის პიროვნების უპატივცემლობა, მთელის ერის უპატივცემლობაა, მისი შეურაცხყოფა—მთელი ერის შეურაცხყოფაა. ესენი **ეროვნული პიროვნების** პირველშემქნელი სიმტკიცენი არიან. გამოაცალეთ ესენი ერს და ხელში შეგრჩებათ მარტოოდენ შეუმტკიცებელი მასსა, ის უსახელო ლეგიონი, რომელიც შობილა, ცხოვრების მინდორი გადაუბალახნია და დღეს საფლავში დავიწყებულად განისვენებს.

საქართველოს ჰყავს ასეთი რჩეულები, რომელთა თავზე საუკუნეებსა და ათას წლებს მრისხანედ გადაურბენია და რომელთათვის, დაკლების მაგიერ, მხოლოდ ღირსება შეუმატებია. ასეთი გაღვთაებრივებულია წმ. ნინო, ქართველთა განმანათლებელი. საქართველოს ეროვნულ პიროვნების ჩამოქნაში, ქრისტიანობის გავლენა წარუხოცელია. და ამ ქრისტიანობის პირველ შუქთან უკვდავად და წმიდანად დაკავშირებულია კაპადოკიით მოსული ასული. მოწიწებით სათაყვანებელია და ღვთაებრივად განდიდებული ნინო ქართველთა მოდგმისაგან. მისი ჯვარი ვაზისა საქართველოს ქრისტიანობის ემბლემაა.

საქართველოს უყვარს სარწმუნოებრივის სიწმიდით ყოველი მტკაველი მიწა, სადაც კი ფეხი დაუდგამს მოციქულთა-სწორს. მას უფრორე უყვარს და სასოებით ეთაყვანება იმ ერთ საფლავს, რომელმაც მიიბარა საქართველოს გამაქრისტიანებელ ასულის ძვლები, დაჰფარა ისინი ჟამთა უამინდობისაგან და განასვენა მყუდროთ მიწის სითბოში!

მას უყვარს ბოდბე, წმ. ნინოს სასაფლაო, ეს ჩვენი მექა, ეს სამლოცველო ქართველთა მოდგმის!

და რომ იცოდეთ, რა რიგ შეგინებულია ეს ღვთაებრივი საფლავი! რა რიგ შელახული! წმ. ნინოს აღარ ესმის ქება და დიდება ქრისტესი იმ ენაზედ, რა ენაზედაც ქრისტეს სახელი მან პირველად ახსენა საქართველოში! ოცდა ათი წელიწადია, რაც ბოდბეში რუსის მონოზვნები ჩადგნენ, და მოისპო ქართული წირვა-ლოცვა! წმ. ნინოს რაღაც გაუგებარი სიტყვები და გალობა მოესმის საფლავში. ქრისტეს პირველი მეჯვრე ალბად ჰფიქრობს, გამქრალა ქართველთა სახსენებელი, გამქრალა ქრისტეს ხსენებაც და სარწმუნოება, რომლის უკვდავება მწამდა და სულს მიდგამდა, ჟამთა სიმუხთლეს შეუბილწნია!..

თვით ნინოობა დღეს, 14 იანვარს, როდესაც მთელი ქართველობა მის სახელს მოწიწებითა და კრძალვით იგონებს და მასზედ ლოცულობს, ბოდბის ეკლესია-მონასტერი მთელის ერის გრძნობის ხმას ამახინჯებს და ისევ-ისევ გაუგებარ სიტყვებს ამბობს, ისევ-ისე გაუგებარ გალობასა ჰგალობს ამ ერის წმიდა საფლავზე! ბოდბეს ეკლესია-მონასტერმა დააშორა ერთმანეთს ერი და მისი წმიდანი. მან გააყალბა ნამდვილი გრძნობა და სისწრფელე ჩვენსა და ჩვენს ნათლიას შორის. ნუთუ ქრისტეს სჯული არავისა სწამს იმათს შორის, ვინც ჩვენის ეკლესიის ბედის გამგებელნი არიან, რომ გვაკმარონ ჩვენცა და ჩვენს ეროვნულ წმიდანს ამდენი შეგინება, ამდენი პატივის აყრა?! ნუთუ არავინაა ღვთისნიერი, რომ ამ საყვარელ საფლავზედ აგვამაღლებინოს ის ხმა, გვათქმევინონ ის სიტყვა და ის გალობა, რომლითაც ეროვნული წმიდანი თვით ლაპარაკობდა და ჰგალობდა. ნუთუ კიდევ ხელს შეგვიშლიან, რომ ხალხი თვის წმიდანს დაუახლოვდეს, თვის სარწმუნოებას დაუბრუნდეს,—ნუთუ?!

**ძველი ქართველი.**

## მამულის დასაცავად!

დღეს უკვე საჭირო აღარ უნდა იყოს მტკიცება იმისა, თუ რა აუცილებელ საჭიროებას უნდა წარმოადგენდეს ჩვენთვის ჩვენს ტერიტორიაზედ განმტკიცება. ჩვენის დაუდევრობითა და გასაოცარის შეუგნებლობით ვეთხოვებოდით ჩვენს ფასდაუდებელ სი-

მდიდრეს, გულხელდაკრეფილნი ვისხედით და შევცქეროდით, თუ როგორ გაფაციცებით მოდიოდენ უცხოელნი ჩვენს საძვლობელოებში და ბეჯითად იკიდებდნენ ფეხს ჩვენს ძველ სამკვიდრებელში.

შევცქეროდით ჩვენს აბარგვას ჩვენსავე დედა--ბუდებიდან და გულგრილათ ვეთხოვებოდით იმ ადგილთ, სადაც უბრალო ქვაც კი ჩვენთა წინაპართა მოსაგონებელი იყო, მღაღადებელი ჩვენის გაფანტული დიდებისა.

დრო მიდიოდა და ნელ ნელა სწყდებოდა ჩვენს გულს მთელი სიმწარე ამ სიმდიდრისა. ჩვენ ვიყავით და ვართ კიდევაც ბედნიერნი გვეგრძნო მთელი სიძნელე და აუტანლობა უცხოელთა დამკვიდრებისა ჩვენს მიწა-წყალზედ, რომ მთელი ჩვენი ძალთა დარაზმვით ფეხზე დამდგარვიყავით ჩვენის არსებობის დასაცავად.

და თითქოს შეიგნო კიდეც ქართველმა ერმა დიდი საჭიროება ჩვენის მამულ-დედულის დაცვისა, და უკანასკნელ ხანებში ამ შეგნების რეალი შედეგებიც დავინახეთ, დიდი ყურადღება მიექცა დაკარგულ მამულთა დაბრუნებას და ქართველ საზოგადოების გულის ყური ამ საკითხისკენ გულდასმით იქმნა მოპყრობილი.

საქართველოს კიდითი-კიდემდე ისმის მძლავრი ყიჟინა ჩვენის თავდაცვისათვის. ქალაქებში ნელ-ნელა უკვე ფეხს იკიდებს ქართული მოსახლეობა და ქართველი ბურჟუაზია ძლიერდება და ამ მოსახლეობის გამაგრებას დიდ სამსახურს გაუწევს.

განსაკუთრებული ყურადღება კი ჩვენს სოფელს უნდა მიექცეს. ის არის ფუძე ჩვენის ეროვნულის ცხოვრებისა და მის ეროვნულ სახის დაცვა წინდია ჩვენის ხელმწიფებისა. უკანასკნელ ხანს ჩვენმა დაწესებულებებმა დიდი ფხა და უნარი გამოიჩინეს ამ საქმეში და განსაკუთრებით თავად-აზნაურობასთან არსებულ საადგილ-მამულო კომისიის საშუალებით და დახმარებით ქართველთ ხელთ დარჩათ ბევრი ისეთი მნიშვნელოვანი მამული, რომელიც უცხოელთა ხელში გარდასასვლელად იყო გამზადებული.

მკითხველი უსათუოთ ყურადღებას მიაქცევდა ჩვენს გაზეთში მოთავსებულ ცნობას სოფ. ქვემო ხანდაკიდან, სადაც 400 დესეტინა მამული იყიდება და მყიდველად სომეხი მანთაშევი გამოდის. მიუხედავათ იმისა, რომ იქაურ გლეხებს სურვილი გამოუთქვამთ ეს მამული შეერთებულის ძალით შეისყიდონ, დღევანდელ მესაკუთრეთაგამ დიდი დაბრკოლებანი ელობებათ. ესეთის დიდი მამულის დაკარგვა კი გაუსწორებელი დანაშაული იქნებოდა ჩვენთვის, და ჩვენმა დაწესებულებებმა ყოველი ღონე უნდა იღონონ და ხელი გაუწოდონ ადგილობრივს გლეხებს და ეს ადგილი შეანარჩუნებინონ.

საკმაოთ ნათლადა სჩანს, თუ როგორ ანორმალურია ჩვენს ეროვნულ სახის განვითარებისათვის სოფლის აფერადება უცხო ელემენტებით. განა ჩვენი დედა-ქალაქი თბილისი თვალსაჩინო ნიმუში არ არის ამ სამწუხარო მოვლენისა? დააკვირდით, თუ რამდენი შრომაა საჭირო, რომ შევსძლოთ ჩვენთა წინაპართა შეცთომები გავასწოროთ, ხელ-ახლა აღვადგინოთ ქართველურის სახით ის სიმდიდრე, რომელიც შეადგენდა ჩვენის არსებობის უმთავრესს საძირკველს და რომელიც ასეთის დაუდევრობით გამოგვეცალა ხელიდან. წარსულის მაგალითები—

ღრმა იარებია საქართველოს ნატანჯ გულისა. ქართულმა იდეამ ახალის სხივოსნობით გაანათა ჩვენი აწმყო, და მომავლის კარებიც უნდა გაიღოს მის ძლიერების წინაშე.

და წმიდა სული ამ იდეისა გვიბრძანებს ფრთხილად მოვეპყრათ ჩვენის ქვეყნის დაუმშვიდებელ სხეულს, რომელსაც ახალის იარებით უპირებენ გასისხლიანებას.

სიყვარულითა და მოკრძალებით მოვეპყრათ სოფელს, ყველაზედ საუთო ნაწილს საქართველოს სხეულისას!

ლ. ჯაფარიძე.

# ომის ამბები

## ბრძოლის ველზე

მოლდავეთის და ვლახეთის ასპარეზზე მოპირდაპირე კვლავ სასტიკ იერიშებს აწარმოებს. იმის და მიხედვით, თუ სად უფრო რაგვარ შედეგს აღწევს გერმანეთის სამხედრო შტაბი, შეიძლება ითქვას, რომ ბრძოლა უფრო ინტენსიურად ვითარდება მდინარე სერეტის სამხრეთ ნაწილის მიდამოებში. მას შემდეგ, რაც მოპირდაპირე ვედენის ასპარეზს საბოლოოდ დაეპატრონა, მოქმედება უფრო ჩრდილოეთით გადიტანა და ახლა მრავალრიცხოვანი რაზმებით იერიში მიაქვს მდ. რიმნიკის შესართავთან. აქ გერმანელთ ხელთ უგდიათ ნანესჩი და რუს-რუმინელთა ჯარი მდ. სერეტზე მიურეკიათ. თვით ის ცნობა, რომ მოპირდაპირეს აუარებელ არტილერიისა და ჯარისათვის მოუყრია თავი, თითქოს მის განზრახვას ააშკარავებს, და ნებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ მოპირდაპირე სადმე აქ სცდილობს, ან და შეეცდება მდინარის გადალახვას, თუ კი, რასაკვირველია, საზოგადოთ რუმინეთის ოპერაცია აქ არ შესწყდება და კვლავ განვითარების გზას დაადგება. მდინარის გადალახვა და მდინარე სერეტის მარცხენა ნაპირზე გადატანა მთელის ოპერაციისა თავისთავად უკვე ახალი სტრატეგიული ოპერაციის დასაწყისი იქნება. ოპერაციის ღრმა განვითარებას მრავალი ახალი მიზანი ექნება დასახული და მას უეჭველად უნდა მოჰყვეს სხვა ასპარეზის გამოხმაურება. საკმარისია ოდნავ მაინც გადავავლოთ თვალი, რომ ჩვენს წინ გადაიშალოს მთავარი საყურადღებო ბაზები, რომლის დაპატრონებას პირდაპირე უპირველესად შეეცდება. გარდა მდ. პრუტისა, მას უნდა მოჰყვეს დნესტრი, რომელიც დიდ ბუნებრივ ზღუდეს წარმოადგენს და მთელი უდიდესი ნაწილი მალორრუსიისა შავი ზღვის ნაპირებით. თვით მიდამო, თუ კი მართლაც მოპირდაპირე ოპერაციის გაგრძელებას გადასწყვეტამს, იმდენად დიდია, რომ მარტო რუმინეთით სვლა მეტად საშიშო იქნება გერმანელთათვის. ამ ოპერაციას აუცილებლივ გალიციაც უნდა გამოეხმაუროს და ორივე მიდამო სტრატეგიულ ერთეულად უნდა გადაიქცეს. ვიმეორებთ, მდინარე სერეტის გადალახვას სწორედ ეს შედეგი უნდა მოჰყვეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ე. ი., თუ კი გერმანელთ მხოლოდ ბრძოლის ხაზის გასწორება აქვთ საზეში და უფრო რთულ და საპასუხისმგებლო ოპერაციაზე შემდეგში აღარ ჰფიქრობენ, მოპირდაპირე მდინარე სერეტს არ გადალახავს. მდინარე სერეტის მარჯვენა ნაპირებს ამოეფარება და ჩვეულებრივ პოზიციურ ბრძოლაზე გადავა. რუმინეთის ასპარეზზე ოპერაცია აქ დამთავრდება და გერმანელნიც მაშინ აღმოსავლეთ ასპარეზზე გენერალურ ოპერაციაზე საზოგადოთ ხელს აიღებენ.

არა ერთხელ გვითქვამს, რომ თუ კი გერმანელები ახლო მომავალში გენერალურ ოპერაციას დაიწყებენ, უსათუოდ რუსეთის წინააღმდეგ იქნება მიმართული. ამ ჩვენს აზრს დღესაც ვადგევართ. მომავალი სამხედრო ისტორიკოსი რუმინეთის გამოსვლას მოკავშირეთა მხარეზე მთავარ დანაშაულად ჩასთვლის, და ეს სრული ჭეშმარიტებაც იქნება. საქმე ის გახლავსთ, რომ ბესარაბია მეტად ფართოდ გაშლილი მხარეა,—და აქ შემოჭრილი მტერი დიდ საფრთხესაც წარმოადგენს რუსეთის მთელ ბრძოლის ველისათვის. რუმინეთის ნეიტრალიტი უფრო ხელსაყრელი იქნებოდა რუსეთისათვის, რადგან მაშინ ეს მხარე ყოველ ხიფათისაგან უზრუნველ ყოფილი იქნებოდა. დღეს კი გერმანელთ დიდი უპირატესობა ერგოთ ბრძოლის ველზე და ამ გარემოებით, არა გვგონია, არ ისარგებლოს მოპირდაპირემ. დაუმატეთ ამას ისიც, რომ უკანასკნელ დღეებში ძალიან გახშირდა ხმები, ვითომ გერმანელნი დასავლეთ ასპარეზზე შეტევისათვის ემზადებიანო. არაერთხელ დავრწმუნებულვართ, თუარა განზრახვით ავრცელებენ ხოლმე ასეთ ხმებს გერმანელნი. რაკი იგინი დასავლეთ ასპარეზზე ლაპარაკობენ, უნდა ვიფიქროთ, რომ ნამდვილად აღმოსავლეთი აქვთ საზეში. რაც გინდა იყოს, ჰაერი მეტის მეტად დამძიმდა და გვგონია, რომ ჩვენ საშინელ ქარიშხალის მოწმენი უნდა გავხდეთ.

X.

## ომის დეპეშები

8 იანვარი.

**უმაღლეს მთავარსარდლის შტაბისა**

**პეტროგრადი.** დასავლეთის ასპარეზი. მზვერავთა მოქმედება და სროლა იყო მთელ ბრძოლის ხაზზე.

**რუმინეთის ასპარეზი.** ლა-მუნტელუს მთის სამხრეთით 15 ვერსზე, ვარასის მიდამოებში მოპირდაპირემ შემოუტია, მაგრამ სროლით მოიგერიეს. რახოტ-იაშის სამხრეთ აღმოსავლეთით მოპირდაპირემ უნაყოფოდ შემოგვიტია. აქ მტერი მსკდომარე ტყვიებს გვიშენდა. პრალეას სამხრეთ-დასავლეთით ბრძოლა გრძელდება. ოლესესჩის მიდამოებში ჩვენი მზვერავები მდ. პუტნას გაღმა გავიდნენ, ფოქშანის ჩრდილოეთით 15 ვერსზე, მტრის სადარაჯო გაანადგურეს, მოდარაჯეთა ნაწილი აჰკუწეს, ნაწილი ტყვედ წამოიყვანეს. მდ. რიმნიკის შესართავთან, ნანესჩის ბრძოლის ხაზზე, მოპირდაპირემ მედგარი სროლა აგვიტეხა მძიმე და მსუბუქ ზარბაზნებით, თან ძლიერის ჯარით შემოგვიტია და ჩვენს ჯარს მდ. სერეტისაკენ დაახევინა.

**კავკასიის ასპარეზი.** სულთან-აბადის მიმართულებით ჩვენმა ცხენოსანმა ჯარმა 3 იანვარს ბურუჯირდი აიღო. უკანასკნელ ბრძოლის დროს გამოირკვა, რომ ოსმალები მსკდომარე ტყვიებს გვიშენენ.

9 იანვარი.

**პეტროგრადი.** დასავლეთის ასპარეზი. კოველის მიმართულებით, ვლადიცას დასავლეთ და ჩრდილო-დასავლეთ მიდამოებში მტრის ბანაკს ორჯელ აუტეხეთ სროლა. ადგილ-ადგილ მავთულების ხლართი დავანგრიეთ. მდ. ნარიუვკაზე, ბოლოშოვცის ჩრდილოეთით, მოპირდაპირე მძიმე ზარბაზნებს გვიშენდა, რის გამოც ჩვენი სანგრები დააზიანეს ს. სკომბოროხის მიდამოებში. სტანისლავოვის სამხრეთით ჩვენმა მზვერავებმა სოფ. ზაგვოზდის მიდამოში მოპირდაპირეს შეუტიეს და ხელჩართულ ბრძოლის შემდეგ, ავსტრიელების ნაწილი აჰკუწეს, ნაწილი დაატყვევეს.

**რუმინეთის ასპარეზი.** არსებითი არაფერი მომხდარა. ადგილ-ადგილ ჩვენმა და რუმინელების მზვერავებმა სიმარჯვე გამოიჩინეს.

**კავკასიის ასპარეზზე** ცვლილება არ მომხდარა.

7 იანვარი.

**ლონდონი.** საგარეო საქმეთა სამინისტრო იტყობინება: ნეიტრალ-სახელმწიფოთა მიმართ გერმანეთის მიმართვაში, 13 იანვრის თარიღით, სხვათა შორის ნათქვამია: „ცნობილია, რომ ინგლისის მთავრობამ 1887 წელს გადასწყვიტა ბელგიის მიწა-წყალზე ჯარის გატარებას წინააღუდგეს. ამასთანავე ნათქვამი იყო, რომ ბელგიის მიწა-წყალზე გერმანიის ჯარის გავლით მიყენებული ზარალი უნდა ანაზღაურდესო“. ამ ცნობას ინგლისის სამინისტრო გადაჭრით უარჰყოფს.

**პარიზი.** სოლუნიდან იტყობინებიან: ათონის ნახევარ კუნძულზე გადასხეს ფრანგ-რუსთა ჯარი, რომელიც ათონის მონასტრებში დაბინავდა. აქ არის სულ 21 მონასტერი. მათ შორის 18 ბერძნებისა, 1 რუსეთისა, 1 სერბიელებისა და 1 ბულგარელებისა. ეს მონასტრები, ვენიზელისელთა მოწინააღმდეგე მიმართულების ბუდედ არის გამხდარი და აქედანვე აწვდიდნენ თურმე ცნობებს მტრის წყალქვეშა ნავებს.

7 იანვარი

**პეტროგრადი.** უმაღლესი რესკრიპტი მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის, სახელმწიფოს საბჭოს წევრის თავად გოლიცინისადმი ბოძებული.

„თავადო ნიკოლოზ დიმიტრის ძევ! დაგაკისრებთ რა თქვენ პასუხსაგებელ მოვალეობას მინისტრთა საბჭოს თავჯდომარისას, მე მოვალედ ვსთვლი ჩემს თავს მივუთითოთ თქვენ ზოგადს საკითხებზე, რომლის გადაწყვეტას თქვენ უპირველესი ყურადღება უნდა მიაქციოთ. დღეს, როდესაც მთელი ჩვენის ძალონით ჩვენ მოკავშირეებთან ერთად გვსურს განვაგრძოთ ბრძოლა მტერთან საბოლოო გამარჯვებამდე, მე მრწამს, რომ რუსის ხალხი, რომელიც ასე თავგანწირვით ეწევა ომის სიმძიმეს, აღასრულებს თავის წმინდა მოვალეობას ბოლომდის და არაფითარ მსხვერპლს არ მოერიდება. ბუნებრივი სიმდიდრე ჩვენის ქვეყნისა იმდენად თვალსაჩინოა, რომ ჩვენთვის ადვილად ასაცდენია ის გასაჭირი, რომელსაც განიცდიან ჩვენი მოწინააღმდეგე სახელმწიფონი. მაგრამ პირველ ყოვლისა უსაჭიროესია ჩვენთვის ისე მოვაგვაროთ სურსათ-სანოვაგის საქმე, რომ გაუადვილოთ მძიმე ტვირთი როგორც ჩვენს მამაც ჯარს, ისე ხალხს. მე მრწამს, რომ თქვენ და თქვენი თანამშრომელნი, სამხედრო უწყებასთან შეთანხმებით საერთო ძალებით მოაწესრიგებთ ამ მეტად რთულს და მძიმე საქმეს. მეორე საკითხი ეხება რკინის გზების და საერთოდ საქონლის გადაზიდვა-გადმოზიდვისა მოწესრიგების საქმეს. მე მსურს ვირწმუნო, რომ მინისტრთა საბჭოს მომავალ მუშაობას, მხარს მისცემენ სახელმწიფო საბჭო და სათათბირო, რომელთა მიმართ თქვენ, კეთილის პირდაპირის და ღირსეული დამოკიდებულების განმტკიცებას უნდა ემსახურონ. ამასთანავე მთავრობის [illegible] შემწყობნი იქნებიან [illegible], რომელთაც როგორც მშვიდობიანობის, აგრეთვე ეხლა, ომიანობის დროს, დაამტკიცეს თავისი გულწრფელი სიყვარული სამშობლოსადმი“.

**ნიკოლოზი.**

**პეტროგრადი.** დღეს საგანგებო მატარებლით აქ ჩამოვიდა რუმინეთის ტახტის მემკვიდრე კარლი.

**რიგა.** 5 იანვარს რიგაზე მტრის ჰაეროპლანმა გადმოიარა, განაპირა უბანში ყუმბარა ჩამოაგდო, მაგრამ სროლა აუტეხეთ და მალე მიეფარა.

**პარიზი.** სირიაში შიმშილობამ 110 ათასი კაცი იმსხვერპლა.

**ოდესა.** აქ ჩამოვიდა კრაიოვის ქალაქის მოურავი, დეპუტატი რომანესკო, რომელმაც გადმოგვცა: როდესაც მტერმა ბუზეოდან და იანკადან ფოქშანისაკენ, სად. პამილუანისაკენ და გალაცისაკენ შემოგვიტია დიდი შიშის ზარი იყო იასაში. ეხლა კი სიწყნარე დამყარდაო.

8 იანვარი.

**ოდესა.** რუმინეთიდან მოსულნი ერთხმად ამტკიცებენ, რომ ამ ბოლოს დროს გალაცის მიდამოებში მდგომარეობა გაუმჯობესდა, მეტადრე ამ ბოლო დღეების რამდენიმე გამარჯვების შემდეგ. რუმინელთა მოხელენი, რომელთაც დავალებული აქვთ მოსძებნონ რუსეთში შენობები რუმინეთის მთავრობის ცენტრალურ დაწესებულებებისათვის, იტყობინებიან, რომ მათ ამ მიზნისათვის აირჩიეს ქ. ხერსონი. იმ შემთხვევაში, თუ ხერსონი გამოუსადეგარი და მოუხერხებელი გამოდგა ამ მხრივ, აზრადა აქვთ ეს დაწესებულებანი დონის როსტოვში გადაიტანონ.

**ლონდონი.** საადმირალოს ცნობა. პერნამბუკიდან იტყობინებიან: გერმანელებმა დალუპეს: ინგლისის სავაჭრო გემები: „დრამატისჩ“-ი, „რედჩორშირ“-ი, „მინიხ“-ი, „მეტერბიხოლ“-ი, „ნოუნტემალ“-ი, „კინგჯორ“-ი, „ჯორჯიე“ და „ვოლტერ“-ი; საფრანგეთისა: „ნოვტე“ და „არნიერ“-ი. დაატყვევეს გემი „სენ-ტეოდორ“-ი და „პაროდელ“-ი რომელიც 400 კაცით უცნობ მიმართულებით წაიყვანეს. მათი ახავალდასავალი არაფერი ვიცით.

## ჟურნალ-გაზეთებიდან

### საბერძნეთი.

**მეფე კონსტანტინეს დათმობა.**

საბერძნეთის მთავრობამ მოკავშირეთა მოთხოვნილებანი დააკმაყოფილა, დაპატიმრებული ვენიზელისელნი გაანთავისუფლა და 18 გიორგობისთვის სროლის ხელმძღვანელი 1 კორპუსის უფროსიც გადააყენა. ჯარი გადაჰყავთ კორინთის სრუტის სამხრეთით პელოპონესში. იქვე გადააქვთ ზარბაზნები, იარაღი, ტყვიისმფრქვე-

# საქართველოს გაერთიანება და რუსეთის პროტექტორატი

(ქართლისა, კახეთისა, იმერეთისა, ოდიშისა და გურიისა დაკავშირებითი ტრაქტატი 1790 წლისა [1])

ცნობილია ორი ვარიანტი 1790 წლის ტრაქტატისა: ერთი რუსულად ნაწერი, რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მთავარ არქივში ინახება მოსკოვში; [2]) მეორე, ქართულად ნაწერი, გიორგი მეფის მწერლის ქაღალდებში ეპოვნა პლატონ იოსელიანს [3]); მისი ტექსტი ასე იკითხვის:

„ტრაქტატი, ივერიელთა მეფეთა და მთავართაგან დამტკიცებული, ქართლ-კახეთისა, იმერთა, ოდიშისა და გურიისა, აღწერილი სამეფოსა ქალაქსა თბილისს—1790 წელსა“.

„ვინაიდგან ყოველთავე ივერიელთა მახლობელთა სამეფოსა შინა ქართლკახეთისა, იმერეთისა, ოდიშისა და გურიისა აქვსთ ერთ-მორწმუნება, არიან ძენი, ერთის კათოლიკე ეკლესიისაგან შობილნი და ერთის ენისა მქონებელნი, აქვსთ, მავასხელობითაცა სიყვარული, ვითარცა სისხლით ნათესავთა და მოყვრობითა შეკრულთა ურთიერთა შორის,—

ამისთვის ჩვენ ზემოხსენებულნი ქვეყანათა ივერიისათა მეფენი და მთავარნი, დამამტკიცებელნი საუკუნოსა ამის პირობისა, სახელითა ყოვლად ძლიერისა ღვთისათა აღუვსთქვამთ მტკიცესა ამას ერთობასა, რომელიცა თვითეულად შემდგომთა შინა ჟამთა ცხად იქმნების.

**ტრაქტატი პირველი**

უფლისა იესო ქრისტეს მონა, მეფე ქართლისა, კახეთისა და სხვათა, ირაკლი მეორე, ქრისტიანებრითა თანამდებობითა გარწმუნებთ ყოვლისა საიმერეთოსა მეფესა, შვილის შვილსა ჩემსა სოლომონს და მთავარსა ოდიშისა და სხვათა სამთავროთა დადიანს გრიგოლს, და მთავარსა გურიისას სვიმონს, და ერთობით თავადთა, აზნაურთა და ერთა ქვემოისა ივერიისა ესრეთ:

**მუხლი პირველი**

შევრაცხო ყოველი მტერი თქვენი მტერად ჩემდა და ყოვლისა სამეფოისა ჩემისა, და ვიყო მტერი მტერისა თქვენისა და მოყვარე მოყვრისა.

**მუხლი მეორე**

მაქვნდეს ზრუნვა დამშვიდებისათვის ქვეყნისა, და ყოვლისა შეძლებისა ჩემისა ებრ ვიყო შემწე თქვენდა წინააღდგომად მტერთა თქვენთა.

**მუხლი მესამე**

ვიყო მწადნელი ბედნიერებისა თქვენისათვის და დაცვად ძეთა იმერეთისათა, ვითარცა მამა საზოგადო მათი.

**მუხლი მეოთხე**

უკეთუ აღდგეს მტერი ვინმე თქვენზედა, დიდი, ანუ მცირე, მხედრობითა ჩემითა, ანუ სხვითა ძალითა, სიტყვითა და საქმითა, შეძლებისა ჩემისაებრ მზა ვიყო შემწედ თქვენდა.

**მუხლი მეხუთე**

უზენაესის მიმართ მფარველობისა საიმპერატოროსა უმაღლესისა კარისადმი, ვითარცა მაქვნდეს შეკრულობა, ვიყო მწადნელი თქვენდაცა უბედნიერესსა შინა მდგომარეობასა მოყვანებად მფარველობითა ერთბაშად ერთისა უავღუსტესისა კარისათა.

**მუხლი მეექვსე**

აღთქმათა ამათ შინა ჩემთა ქრისტიანებრითა შევიკვრი თანამდებობითა: თვით ძეთა ჩემთა, თავადთა საქართველოსათა და საზოგადოდ ერთა ჰსჯულვდებ საუკუნოდ ერთგვამად შეერთებასა ამას ქვემოისა ივერიისათანა და ვამცნებ ყოველთავე, რათა მტკიცედ ედგნენ ზემო აღწერილთა აღთქმათა შინა, ვითარცა ჰსჯულთა ზედა ეკლესიურთა,—იყავნ ესრეთ. ვიცი ვითარია თანამდებობა ჩემი და ვჰგიე მტკიცედ ხელ-მოწერისა ამისა ჩემისა-ებრ:

მეფე ქართლისა, კახეთისა და სხვათა **ერეკლე.**

დედოფალი ქართლისა, კახეთისა და სხვათა **დარეჯან.**

საქართველოს კათოლიკოზი **ანტონი.**

ვიცე კანცლერი **სოლომონ ლიონიძე.**

**ტრაქტატი მეორე ნაცვლად პირველისა**

უფლისა იესო ქრისტეს მონა, მეფე ყოვლისა საიმერეთოსა, შვილის შვილი თქვენი სოლომონ ქრისტიანებრითა აღთქმითა გარწმუნებთ უმაღლესსა მეფესა თქვენთა, თავადთა, კეთილშობილთა და ერთა ზემოისა ივერიისათა ესრეთ:

**მუხლი პირველი.**

შევრაცხო ყოველი მტერი თქვენი მტერად ჩემდა და ყოვლისა სამეფოისა ჩემისა და ყოველი მტერი მტერისა თქვენისა და მოყვარე მოყვრისა.

**მუხლი მეორე.**

მაქვნდეს ყოველივე შეძლება ჩემი დაუზოგავად დამშვიდებისათვის ქვეყნისა თქვენისა და ვიყო მზა ნიადაგ წინა-აღდგომად მტერთა თქვენთა.

**მუხლი მესამე.**

ვიყო მწადნელი ბედნიერებისა თქვენისათვის და უგანათლებულესთა ძეთა თქვენთა, ვითარცა თანამდები მეფე დისწული მათი.

**მუხლი მეოთხე.**

უკეთუ აღსდგეს მტერი ვინმე თქვენზედა, დიდი ანუ მცირე, მხედრობითა ჩემითა ანუ სხვითა ძალითა, სიტყვითა და საქმითა, შეძლებისა ჩემისაებრ მზა ვიყო შემწედ თქვენდა.

**მუხლი მეხუთე.**

უზენაესისა მიმართ მფარველობისა საიმპერატოროსა უმაღლესისა კარისადმი, ვითარცა აქვნდეს უმაღლესობასა თქვენსა შეკრულება, ვიყო თქვენთანა მქონებელი, თანა-ხმობისა უბედნიერესისა მდგომარეობისა ჩვენისათვის, მფარველობითა ერთ-ბამად ერთისა უავგუსტესისა კარისათა.

**მუხლი მეექვსე.**

აღთქმათა ამათ შინა ჩემთა ქრისტიანებრითა შევიკვრი თანამდებობითა თვით თავადთა ყოვლისა იმერეთისათა, კეთილ-შობილთა და საზოგადოთა ერთა ჰჯულ-ვუდებ საუკუნოდ ერთ-გულებად შეერთებასა ამას ზემოისა ივერიისათა და ვამცნებ, რათა მტკიცედ ეგნენ ზემო-აღწერილთა აღთქმათა შინა, ვითარცა ჰსჯულთა ზედა ეკლესიურთა, იყავნ ესრეთ. ვიცი, ვითარია თანამდებობა ჩემი და ვჰგიე მტკიცედ ხელმოწერისა ამის ჩემისაებრთ.

მეფე ყოვლისა საიმერეთოისა **სოლომონ.**

დედოფალი ყოვლისა საიმერეთოისა **მარიამ.**

ვიცე-კანცლერი **სოლომონ ლიონიძე.**

**ტრაქტატი მესამე ნაცვლად პირველისა.**

უფლისა იესო ქრისტეს მონა, მე, მთავარი ოდიშისა და სხვათა სამთავროთა, დადიან და გრიგოლ, ქრისტიანებრითა აღთქმითა გარწმუნებთ უმაღლესსა მეფესა ქართლისა, კახეთისა და სხვათა, მეორესა ირაკლის უგანათლებულესთა ძეთა თქვენთა, თავადთა, კეთილშობილთა და ერთა ზემოისა ივერიისათა ესრეთ:

შევრაცხო ყოველი მტერი თქვენი მტერად ჩემდა და ყოვლისა სამთავროისა ჩემისა და ვიყო მტერი მტერისა თქვენისა და მოყვარე მოყვრისა.

მაქვნდეს ყოველივე შეძლება ჩემი დაუზოგავად დამშვიდებისათვის თქვენისა და ვიყო ნიადაგ მზა წინააღმდგომად მტერთა თქვენთა.

ვიყო მწადნელი ბედნიერებისა თქვენისათვის და ძეთა თქვენთა, ვითარ ნათესაობით თანამდები უგანათლებულესობათა მათთა.

უკეთუ აღსდგეს მტერი ვინმე თქვენზედა, დიდი ანუ მცირე, მხედრობითა ჩემითა ანუ სხვითა ძალითა, სიტყვითა და საქმით შეძლებისა ჩემისა-ებრ მზა ვარ შემწედ თქვენდა.

უზენაესისა მიმართ მფარველობისა უმაღლესისა საიმპერატოროსა კარსადმი, ვითარცა აქვნდეს შეკრულობა უმაღლესობასა თქვენსა, ვიყო თქვენთანა მქონებელი თანხმობისა მფარველობათა თქვენთანა ერთისა უავღუსტესისა კარისათა.

აღთქმათა ამათ-შინა ჩემთა ქრისტიანებრითა შევიკვრი თანამდებობითა თვით სახლის-წულთა ჩემთა და თავადთა სამთავროისა ჩემისათა, კეთილშობილთა და ერთა ჰსჯულ-ვუდებ საუკუნოდ ერთგვამად შეერთებასა მას ზემოისა ივერიისათანა და ვამცნებ, რათა მტკიცედ ეგნენ ზემო აღწერილთა აღთქმათა შინა, ვითარცა ჰსჯულთა ზედა ეკკლესიურთა. იყავნ ესრეთ. ვიცი, ვითარია თანამდებობა ჩემი და ვჰგიე მტკიცედ ხელმოწერისა ამის ჩემისაებრ“.

ამას მიჰყვება ტრაქტატი მეოთხე ნაცვლად პირველისა, რომლითაც „მთავარი გურიისა სიმეონ“ სოლომონის პირობის სადარ პირობას აძლევს მეფე ერეკლეს...

—

1790 წლის დაკავშირებით ტრაქტატის მკაფიო და მკვეთრი ენა იმას მეტყველებს, რომ ერთის სისხლით, ერთის ენით და ერთის რწმენით შეჰკრული საქართველოს სამეფონი და სამთავრონი ერთხმად აღიარებენ მეფე ერეკლეს გაერთიანებულ ზემო და ქვემო ივერიის „საზოგადო მამად“—სუვერენად, რომელიც არის ერთადერთი „მწადნელი მოყვანებად მფარველობათა უავღუსტოესისა კარისა“, ე. ი. (რუსეთისა „ვითარცა მხოლოდ მას აქვნდეს შეკრულებაო“...[4])

მართალია, რომ 1790 წლის აქტი რთულ ფსიქიურ პროცესთა გარდმოცემაა; ისიც მართალია, რომ ამ აქტის იურიდიული ტერმინები არაა ზიარი ევროპის კონგრესთა რედაქციისაგან შედგენილი საერთაშორისო ტრაქტატების,—მაგრამ, თუ აქტის სიტყვების მაგიერ, მის აზრს გავყვებით, bona

[1]) ნახეთ „საქართველო“ № 6.

[2]) Дѣло XXII. Грузія, 1774—1804 г. г.

[3]) პლ. იოსელიანის „ცხოვრება“ ფ. 22—28; პროფ. ა. ცაგარელის გრამოტების“ 183 ფ.

[4]) 1790 წლის აქტი თითქმის უცნობია ქართველთა საპოლიტიკო მწერლობისათვის... თვით სპეციალისტებში მხოლოდ პროფ. ალ. ცაგარელს, ა. ხელთუფლიშვილს, ს. გორგაძეს და განსვენებულ ალ. ხახანაშვილს აქვთ აღნიშნული ეს ტრაქტატი, ისიც უკომენტარიოთ... ბ-ნ ზურ. ავალიშვილის სამაგისტრო მონოგრაფიაში სრულებით არ არის ნახსენები 1790 წ. აქტი..

1790 წლის ტრაქტატი რომ მეფე ერეკლეს პოლიტიკის დედა-აზრს წოკუმენტობს: რუსეთის პროტექტორატით მთელ საქართველოს გაერთიანებას და დამოკიდებულობას,—ამას ზარზანწინ ვსწერდი ჟურნალ „Національ. Проблем“-ში—№ 1, 1915 წ.

ველები და ყოველგვარი სამხედრო ხელსაწყო. ამ საქმეს ორი-სამი კვირა მაინც დასჭირდება. ამ გვარად სარაილის ჯარს მოკავშირეებმა ზურგის მხრივ საფრთხე ააცილეს.

თუმცა მეფე კონსტანტინემ მოკავშირეებს დაუთმო, მაგრამ მოკავშირენი ვენიზელოსის დროებით მთავრობასაც კანონიერად აღიარებენ.

სალონიკის ასპარეზზე უსათუოდ გაჩაღდება ბრძოლა, თუმცა ზოგიერთ მოკავშირე ქვეყნის გაზეთებში წინააღმდეგი აზრიც იყო გამოთქმული.

**გარემოცვის მნიშვნელობა.**

ა. ბურსკის აზრით საბერძნეთის სანაპიროების გარემოცვას მაშინ უფრო დიდი მნიშვნელობა ექნება, საბერძნეთი რომ გერმანეთს მიემხროს და ომში ჩაერიოს; რადგანაც საბერძნეთი გარედან შეზიდული ხორბლეულით და სანოვაგით იკვებება.

## გერმანეთი და ინგლისი.

**სამზადისი.**

„უტ. როს." მე-4 ნომერში სტროევის საგულისხმო წერილია მოთავსებული. მოგვყავს დამახასიათებელი ამონაწერები: ინგლისი და გერმანეთი დიდს სამზადისში არიან სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლის მოლოდინში. შესაძლებელია, ინგლისმა საზღვაო გადამწყვეტი ბრძოლა გაუმართოს გერმანეთს, ან პირდაპირ გერმანეთის სანაპიროებზე იერიშით მივიდეს. ასეთი იერიშის მიზანი ან ჯარის გადასხმა იქნება, შუაგულ გერმანეთში შესასვლელად, ან—გერმანეთის ნავთსადგურების განადგურება.

**ჯარის თავმოყრა.**

ამას უნდა მიეწეროს ის ამბავი, რომ გერმანელები რეინის პროვინციებში დიდძალ ჯარს უყრიან თავს, ჰოლანდიის მიჯნების მახლობლად. მათ კლევასში უკვე 50 ათასი მეომარი ჰყავთ, ვეზელის მახლობლად კი 150 ათასი. ამ გარემოების მიხედვით საფიქრებელია, რომ გერმანელები ახალ ასპარეზზე აპირებენ გალაშქრებას. მაგრამ, ცხადია ამ გალაშქრებამდე, ჯერ საზღვაო გადამწყვეტი ბრძოლა მოხდება.

**საზღვაო ბრძოლა.**

ინგლისისა და გერმანეთის გულ თადი სურვილია საზღვაო ბრძოლის გაჩაღება. ინგლისი ეძებს მოპირდაპირეს გაშლილ ზღვაში, გერმანეთი კი ამ საბედისწერო წუთს რაც შეიძლება შორეულ მომავლისათვის სდებს, რადგანაც მისთვის ზღვაზე გამარჯვება ყველა იარებს მოუშუშებს თუნდაც ხმელეთზე განადგურებულიც იყოს. დამარცხებულ და განადგურებულ გერმანეთს რიღასთვის უნდა ფლოტი.

**გერმანეთის გარემოცვა.**

ინგლისის მიერ გერმანეთის სანაპიროთა გარემოცვა მართლა საშინელ განსაცდელში აგდებს გერმანეთს, რადგანაც მის საზღვაო აღებ-მიცემობას სრულებით ჰპორავს. 1909 წ. გერმანეთ უცხოეთიდან შეუზიდნია 8,860,410 მილიარდი მარკის საქონელი. გაუტანია უცხოეთის ბაზარზე 6,858,693 მარკ. საქონელი. 1913 წელს შეუზიდნია 11,206,788 მარკის საქონელი, გაუტანია 10,189,316 მარკისა. ასეთი თვალსაჩინო ზრდა აღებ-მიცემობისა ეხლა, გარემოცვის გამო, სრულებით შეფერხებულია.

**გერმანეთის გემები.**

გერმანეთის 621 სავაჭრო გემი ნეიტრალ სახელმწიფოებშია გამომწყვდეული. ეს გემები საერთო ვარაუდით 145,142,000 ფუთის მზიდველია. ხოლო 490 გემი კი, 149,420,000 ფუთის მზიდველი, გერმანეთის ნავთსადგურებში უმოქმედოთ სდგას.

**ინგლისის გემები.**

ამავე დროს ინგლისი ფხიზელ დარაჯად სდგას ზღვაზე და მთელი მისი სამხედრო ფლოტი საომარი საჭურველით ყოველ წუთს ბრძოლის ლოდინშია და აქეთ-იქითაა დაქსაქსული, ერთი წყება საომარი გემებია ცალკეა დარაზმული, მეორე წყება გერმანეთის სანაპიროთა გარემოცვას უნდება. ამგვარად საზღვაო ბრძოლა ყოვლად აუცილებელია ორივე მოპირდაპირესათვის. სტროევის აზრით გერმანეთის საზავო წინადადება მხოლოდ იმ სურვილით იყო გამოწვეული, რომ თავისი ფლოტი უვნებლად და მთლიანად გადაერჩინა.

**ბერნგარდის მოსაზრება.**

ცნობილი გერმანელი სამხედრო მწერალი ბერნგარდი, ომის დაწყებამდე რამდენიმე წლის წინად თავის სამეცნიერო ნაწარმოებში „მომავალი ომი" სწერდა: „რადგანაც დიდი უთანასწორობაა გერმანეთისა და ინგლისის ფლოტის შორის, მომავალ ომის დროს, გერმანეთის ფლოტი, ალბად, კილის არხში შეიხიზნება და მხოლოდ წყალქვეშა ნავებით შეეცდება თანდათან დაასუსტოს ინგლისის ფლოტი" (ასეც მოხდა). გერმანეთის ფლოტი ეცდება ინგლისის ფლოტს თავისი სანაპიროების მახლობლად შეებას, როგორც უკვე მოხდა ჰელჰოლანდის ნავთსადგურის მახლობლად მარიამობისთვესა და 1914 წ. ქრისტეშობისთვეში და მაისში იუტლანდიის სანაპიროებთან.

**ინგლისელების გეგმა**

იუტლანდიასთან ბრძოლის შემდეგ უკვე 8 თვე გავიდა, მაგრამ გერმანეთის ფლოტი თავისი მყუდრო ნავთსადგურებიდან აღარ დაძრულა. ინგლისის ფლოტი გერმანეთის ფლოტს შეხვდება დოგგერ-ბანკის მახლობლად ან გერმანეთის წყლებში და მისი დამარცხების შემდეგ, უსათუოდ გერმანეთის სანაპიროებს მიადგება ჩრდილოეთისა და ბალტიის ზღვიდან.

**ჰელჰოლანდიის მნიშვნელობა**

ჩრდილოეთის ზღვიდან მიმავალ გზებს ჰსდარაჯობს ჰელჰოლანდიის კუნძული, რომელსაც „ჩრდილოეთის ჰიბრალტარს" უწოდებენ. ამ სალიკლდის კუნძულზე, რომელიც ზღვაშია შეჭრილი 1,700 ადლის მანძილზე და სიგანით 600 ადლს უდრის, გერმანელებმა სიმაგრეებიც ააგეს. ასე რომ ჰელჰოლანდი მიუდგომელი დარაჯია აღმოსავლეთით შლეზვიგ-გოლშტინია და სამხრეთით ჰანოვერისაკენ მიმავალ გზებისა. ჰელჰოლანდის გარდა მთელი სანაპირო პატარ-პატარა კუნძულებითაა დაფენილი, რომელთა შორისაც გერმანეთის ფლოტი მყუდროთ სდგას, აქედანვე გაემართება ხოლმე სანავარდოთ და აგრეთვე მიეშურება ბრძოლის შემდეგ თავის შესაფარავად.

## აფეთქება ლონდონში

(პეტ. დეპ. სააგ.)

**ლონდონი.** 8 იანვარს, საღამოს 7 საათზე, ისტენდში (ლონდონშია) ასაფეთქებელ მასალების ქარხანაში ცეცხლი გაჩნდა. აფეთქება ცეცხლის გაჩენის რამდენიმე წუთის შემდეგ მოხდა; ამიტომ ბევრმა მუშამ ქარხნიდან გამოსვლა მოასწრო. ქარხანა სულ მთლად დაიქცა. დაზიანდა ახლომახლო მდებარე ფაბრიკები და საქონლის საწყობები. სამი წყება სახლებისა სრულიად დაიქცა. კონებრივის მხრივ ზარალი დიდია. ორი ცეცხლის მქრობელი დაიღუპა. საერთო რიცხვი მსხვერპლისა ჯერ გამოურკვეველია, მაგრამ არც იმდენი იქნება, რამდენსაც პირველად ვარაუდობდნენ. დაღუპულთა შორის არის აგრეთვე უფროსი ქიმიკოსი.

ოფიციალი ცნობით, ჯერ-ჯერობით, დაღუპულთა რიცხვი 30—40 კაცს უდრის.

**ლონდონი.** ოფიციალ ცნობის თანხმად ლონდონის ახლოს აფეთქდა სათოფისწამლო ქარხანა. ჰფიქრობენ, რომ მრავალი ხალხი დაიღუპა.

## უკანასკნელი ცნობები

**„ჰუმანიტე" სწერს: მოკავშირეთ არ ჰსურთ მოხპონ მოწინააღმდეგეერები. ამ რიგად მოკავშირენი ფორმალურად უერთდებიან ხალხთა მშვიდობიან დამოკიდებულებას, რომელიც ზავით უნდა დაგვირგვინდეს. თუ ეს ზავი მართლა მოახლოვებულია,—ეს უნდა გვამცნონ ცენტრალმა სახელმწიფოებმა და საჯაროდ განაცხადონ ზავის პირობები.**

—

**როგორც ამბობენ, უილსონის საზავო ნოტა შტატების მაღალ წრის ხალხს და ბანკირებს გამოქვეყნებამდე სცოდნიათ. ბირჟაზე მოთამაშეთ ამ გარემოებით უხარგებლნიათ და ფასიანი ქაღალდები საშინლად დაუფოლებიათ.**

—

**განსაკუთრებულ კრებას ნაფთის ნიხრი 10 კაპეიკით აუწევია.**

—

**ციურიხიდან იტყობინებიან: ფრიდრიხჰფენში ცეპელინების ასაგებათ გაცხარებული მუშაობა სწარმოებსო. აშენებენ ახალ ტიპის ცეპელინებს, რომელნიც საარილის დროს არ იხმარებენ და თან ისეთს გაზს გაუშვებენ, რომ მოწინააღმდეგე ცეპელინს ვერ შეჰნიშნავსო.**

—

„უტრ. როსია" იტყობინება: **გერმანეთის მთავარ შტაბს სხდომა ჰქონდა, სადაც ჰინდენბურგმა მოხსენება წარადგინა. როგორც სჩანს, გერმანეთი დიდ იერიშებისთვის ემზადება. ამის გამო ჰინდენბურგს აღმოსავლეთის ფრონტზე დიდძალ ჯარისთვის მოუყრია თავი.**

—

სტოკჰოლმიდან იტყობინებიან: გერმანეთის ოფიციალ გაზეთში გამოქვეყნებულია ვილჰელმის წერილი, კანცლერისადმი მინაწერი, სადაც ნათქვამია: ჩვენის საუბრის შემდეგ ჩემთვის ცხადი შეიქმნა, რომ ჩვენი მოწინააღმდეგე ერნი ომის ფსიხოზით არიან შეპყრობილნი. მოტყუება, სიცრუე, შური და ზიზღი აიძულებსთ ბრძოლა განაგრძონ. ბრაეინ მოეპოვებათ სთქვან გამანთავისუფლებელი სიტყვა და ზავის ჩამოგდება მოითხოვონ, მით უმეტეს, რომ ეს მოთხოვნა ზნეობრივად ამამაღლებელი აქტი იქნებოდა და ქვეყანას განადგურებისგან დაიხსნიდა და ნეიტრალ სახელმწიფოებს გაჭირვებას თავიდან აააცილებდათ. ამ აქტის მოსახდენად საჭიროა სვინდისის მქონე მმართველი და ისეთი ადამიანი, რომელიც ღვთის წინაშე თავის მოვალეობას ჰგრძნობს და პატივისცემით ეპყრობა საკუთარსა და მოწინააღმდეგე სახელმწიფოთა ქვეშევრდომთ,—საამისო ძალა და ვაჟკაცობა მე შემწევს, ღვთის მადლით ამ განზრახვას კიდეც შევასრულებ. ამიტომ წარმოიდგინე თქვენი „წინადადებანი, მაძროვე და პრესაც მოამზადეთ ამ ნიადაგზეო".

## დეპეშა

(„საქართ." საკუთ. კორესპ.)

**ბაქო.** ამ ნავთიან ადგილების კონცესიებს გარდა, რაც უკვე აღებული აქვს აკაკი ხოშტარიას, ამ უკანასკნელმა დღეს კიდევ მიიღო ახალი კონცესია, როგორც ნავთიან ადგილებისა არდებილის ოლქში, ისე ყოველგვარ მადნეულობისა გილიანის, მიზანდარის, ასტრაბადის პროვინციებში და არდებილის ოლქში. ამ გვარად, კონცესია ყველა მადნეულობისა, რაც ჩრდილოეთ სპარსეთის იმ ნაწილშია, რომელზედაც რუსეთის გავლენაა გავრცელებული, სავსებით ხოშტარიას ხელშია გადმოსული. განუსაზღვრელია ამ კონცესიათა საეკონომიო მნიშვნელობა.

**ხარბინი.** (ამ დეპეშის კოპიო გაგზავნილია კავკასიის ჯარის შტაბში ცხენოსანთა ჯარის კომანდირის დავით ზაქარიას ძეს ჭავჭავაძეს სახელზე).

ჩვენ, ქართველნი, ბედისაგან შორეულ აღმოსავლეთში გადმოტყორცნილნი, ერთის გულწრფელის სურვილითა ვართ მოცულნი: გესალმებით საქართველოს ერის გმირ-შვილს თავად დავით ზაქარიასძე ჭავჭავაძეს, აღდგენილ ქართულ პოლკის თავში მოქცეულს, მთელის ციმბირისა და კავკასიის ქედს გადაღმა, გიგზავნით ჩვენს საუკეთესო გულის ნატვრას და გთხოვთ გულისყური ათხოვოთ ჩვენს გულის ცემას იმ ნეტარ დღეს, როდესაც გავიგეთ, რომ ძველ საქართველოს ისტორიული ალამი, ჩვენთა სახელოვანთა წინაპართა გმირობის მოწამე, დიდის ხნითვე დასვენებული სიონის ტაძრის თაღებ ქვეშ, იმ წამს, ოდეს მამულს გაუჭირდა, კვლავ გაიშალა, რომ გაუძღვეს საშობლოს შვილებს და მათ გმირ სარდალს მტერთან საბრძოლველად. შეგვაძლებინოსთ მაღალმა ღმერთმა მოიხადოთ თქვენი ვალი ძვირფას სამშობლოს სადიდებლად და საამაყოთ.

ქართველობა.

## ცვლილება სამინისტროში

(პეტ. დეპ. სააგ.)

**პეტროგრადი.** უმაღლესი ბრძანებით სახალხო განათლების მინისტრის ამხანაგი რაჩინსკი თანხმად თხოვნისა დათხოვნილ იქმნა თანამდებობიდან.

გზათა მინისტრის ამხანაგად უმაღლესად დაინიშნა ინჟინერი კოზირევი.

# ახალი ამბავი

**ქართული დაწესებულებანი.**

◆ **ფრესკების გამოფენა.** კვირას, 8 იანვარს, დილის $12^1/_2$ საათზე, სამხედრო მუზეუმის შენობაში, გოლოვინის პროსპექტზე, გაიხსნა გამოფენა ძველ ქართულ საეკლესიო ფრესკებისა, რომლებიც ქართველმა მხატვრებმა წარსულ ზაფხულში გადმოიღეს სოფ. ნაბახტევის (ზემო ქართლი) ძველ ეკლესიის კედლებიდან. გამოფენამ აუარებელი ხალხი მიიზიდა. სხვათა შორის, ბრძანდებოდნენ თავად-აზნაურთა მარშალი, სახელმწიფო საბჭოს წევრი, თავ. კ. ნ. აფხაზი, ქალაქის მოურავი ა. ი. ხატისოვი და სხ. იმ დღის შემოსავალი უდრის 600 მან. ერთმა კაცმა გადასცა მოლარეს ასი მანეთი, შეწირულობის სახით. როცა ჰკითხეს,—ვისგან არის შემოწირულებაო, შემომწირველმა არაფერი უპასუხა და მიიმალა. გამოფენის გახსნისას ბ-ნმა ე. თაყაიშვილმა რეფერატი წაიკითხა ფრესკების მნიშვნელობის შესახებ. გამოფენა 2 კვირას გასტანს. გამოფენის მიმოხილვას და ბ-ნ თაყაიშვილის რეფერატს ამ დღეებში დავბეჭდავთ.

◆ **ქართულ სახოფლო სამეურნეო საზოგადოების მამული.** 6 იანვარს საზოგადოების საგურამოს მამული დაათვალიერეს ამავე საზოგადოების საბჭოს წევრმა და მდივანმა ვ. ი. რცხილაძემ, კავკასიის სასოფლო მეურნეობის ინსპექტორმა ხაჩ. ტიმოფეევმა და სამიქელაძის ბაღის დირექტორმა ა. ს. რომანოვმა. ამ სპეციალისტებს ძალიან მოეწონათ ორპირად დაბერილი ადგილი ვაზებისა, სამკურნალო მცენარეულობისა და ბოსტნისათვის, აგრეთვე ორმოები ხეხილების ჩასაყრელად. გაშენებულ კატაბალახას კარგად უხარნია და სპეციალისტებმა ამას განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეს. აგრეთვე შესაფერისად იქნა ცნობილი ჯიშიან საქონლის მოსაშენებლად არჩეული ადგილი.

**მთავრობის დაწესებულებანი.**

◆ **მევენახეობა-მეღვინეობის კომიტეტი** ამ დღეებში სათათბიროდ მოიწვევს ადგილობრივ მეღვინეებს. გამოსარკვევია საკითხი, თუ რა ღონისძიება იქმნას მიღებული, რომ ღვინის ვაჭრობა არსებულ მრავალგვარ სავალდებულო დადგენილებათაგან განთავისუფლებულ იქმნეს.

**ქალაქის დაწესებულებანი**

◆ **ტრამვაის ტარიფი.** 7 იანვარს შეერთებული კრება ჰქონდათ ქალაქის გამგეობას და საფინანსო-საბიუჯეტო და სატრამვაიო კომისიებს. განსახილველი იყო სხვა და სხვა განცხადებანი ტრამვაის ახალი ტარიფის გადასინჯვის შესახებ. შეერთებულმა კრებამ საჭიროდ სცნო დაკმაყოფილდეს კრებაზე არჩეულ 8 ხმოსნის (პ. გოთუასი, თავ. ვაჩნაძისა და სხ.) წერილობითი განცხადებით, რომ ერევნის მოედნიდან წყნეთისა და ოლგას ქუჩების ბოლომდე ვაგონებზე №№ 5 და 9 დაწესდეს 5 კაპიკიანი ბილეთები, ნაცვლად ეხლანდელ 10 კაპეიკისა. დანარჩენ განცხადებათა განხილვა და რეზოლუციის გამოტანა კრებამ მიანდო 5 კაცისაგან შემდგარ საგანგებო კომისიას.

◆ **სასურსათო საქმე.** ქალაქის საბჭოს სასურსათო კომისიის მეორე კრება დანიშნულია ოთხშაბათს, ამა თვის 11-ს.

**სხვა და სხვა ამბები.**

◆ † **თ. გ. ი. მაყაშვილი.** მოსკოვიდან გვატყობინებენ, რომ იქ დაუსაფლავებიათ გულის სიგანივრისაგან გარდაცვლილი სამოქალაქო ინჟინერი თ. გ. ი. მაყაშვილი, რომელმაც, სხვათა შორის, ააშენა საპოლიტეხნიკო მუზეუმის მარცხენა ფრთა და აუდიტორია.

◆ **კახეთის რკინის გზის გამგეობამ** რკინის გზის ფერშლად მიიწვია ვანო საათაშვილი.

◆ **წმ. მოწამე აბოს დღეობა.** გუშინ, იანვრის 9, წმ. აბო ტფილელის დღეობას, მისი უსამღვდელოესობა ეპისკოპოსი ანტონი მწირველი ბრძანდებოდა დარიის ფერიისცვალების მონასტერში. მონასტრის თაბუნი ნაწირვევს გაემართა ლიტანიით წმ. მოწამე აბოს ნიშისაკენ ავლაბრის ხიდთან და მოწამე მოიხსენია.

◆ **მიტროპოლიტი პიტირიმი** მოსკოვს გადაჰყავთო.

---

fide და კონდექსტის კანონსაც ყურად იღებთ,—მაშინ უნდა აღვიაროთ, რომ 1790 წლის დაკავშირებითი ტრაქტატი იმდაგვარივე ნაკვთია საერთაშორისო უფლების ნორმით შერთულ სახელმწიფოსი, (Staatenbund), როგორიც იყო, მაგალითად, გერმანეთის კავშირი 1815-იდან 1866 წლამდე... იმერეთ-სამეგრელო-გურიას მეფე-მთავარნი სწორედ მით იღებენ ხელს თავიანთ სრულ სუვერენობაზე, მეფე ერეკლეს რომ ანდობენ თავიანთ საგარეო პოლიტიკას, სახელდობრ, რუსეთის პროტექტორატის შეძენას. . ეს იმავე ღირსების ფაქტია, რა ღირსებისაც არის ის ფაქტი, რომ იმერეთის უზრალო ხალხი თავის მეფეს უფრო „ბატონს" ეძახდა, ქართლ-კახეთისას კი —„მეფეს" უწოდებდა... ამიტო მაც არის, რომ „ზემო და ქვემო ივერიისა" მეფე-მთავარნი ერთ-ურთ შორის კი არა სწერენ ერთ დაკავშირებითს ტრაქტატს, არამედ იმერეთ-გურიაოდიშის მეფე-მთავარნი, სამივე ცალცალკე დაწერილ პირობით ეკვრიან მეფე ერეკლეს... ამგვარი აქტი ჰაჰენცოლერნისებურ ტრადიციას მოგვაგონებს... კიდევ უფრო შორს სჭრეტდა ვიცე კანცლერი, სოლომან ლიონიძე, რომელიც, პლატონ იოსელიანის თქმით, „მრავლად დაშვრა, რათა, მოეყვანათ ერთობასა მტკიცესა ერთ ნათესაობა ქართველთა—შეცადინებდა შინა კავშირითა გაეუქმებინა გარე კავშირიო"... მაგრამ ქართლ-კახეთს არ დასცალდა ქართულ პრუსიის როლის აღსრულება...

1790 წლის ოთხად დაწერილნი პირობანი, ხელმოწერილნი და ბეჭედ დასმულნი მეფეთა და მთავართა, მღვდელ-მთავართა და მოხელეთა მიერ, განაცხადეს ყოველგან... კოპიო იმპერატრიცა მეორეს წარუდგინეს საცნობლად, როგორც ამას მოითხოვს საერთაშორისო აქტის წარმოება... რუსეთს პროტესტი არ განუცხადებია და ამითვე აღიარა 1790 წლის აქტის ძალა...

გავიდა ერთი წელიწადი და 1791 წელს რუსეთ-ოსმალეთის მეორე ომიც დასრულდა; რადგან ომის დაწყების ერთ-ერთ მიზეზად რუსეთმა 1787 წელს ის გამოაცხადა, რომ ოსმალეთი, მიუხედავად 1783 წლის რუსეთ-საქართველოს საკავშირო ხელშეკრულებისა მაინც დავიდარაბობს და სულთანის პროტექტორატსაც კი შეაძლევს ქართლ-კახეთსო,—ამისთვის 1791 წელს რომ რუმინელთა ქალაქ იასში ზავყოფის ტრაქტატი დაიწერა,—საქართველოც შეიტანეს; ამ ტრაქტატის მე-V მუხლით ოსმალეთი პირობას იძლევა, საგანგებო ფირმანს გამოსცემ, რომ ახალციხის ფაშამ ქართლ-კახეთს თავი დაანებოსო..

გავიდა ორი წელი და 1793 წელს მეფე ერეკლე, თანახმად „ივერიელთა მეფეთა და მთავართა დაკავშირებითის ტრაქტატისა, შუამდგომლობს ეკატერინეს წინაშე:—განავრცეთ რუსის პროტექტორატი მთელ საქართველოზედო:

„ადრითგანვე უმაღლესი კარი უდიდ—სა თქვენისა ყოვლითა წყალობითა და პირითა ელჩთათა ნიადაგ ფალდებულ გვყოფდა ამასზედა, რათამცა შეერთებულ ვიქმნეთ ჩვენ, მეფენი ყოვლისა ივერიისანი, რომლისათვისცა საუკუნოთა ამით ტრაქტატითა შეერთებულ იქმნა თანახმობა ჩვენ, მეფეთა და მთავართა ქართლისა, კახეთისა, იმერთა, ოდიშისა და გურიისათა, ესრეთ მტკიცედ, ვითარ ესე ცხად არს ტრაქტატსა ამას შინა ერთგვარად შეერთებისა ჩვენისასა ამიერიდგან... ვითხოვთ, რათა არა განყოფილ იქმნას საუკუნოდ ერნი ქართლისა, კახეთისა, იმერთა, ოდიშისა და გურიისა რუსთა იმპერიასა ზედა მიწერითა, და რათა მთელი ივერია იყოს მიწერილ იმპერიასა ზედა რუსეთისა ტრაქტატისა ამის ჩვენისაებრ მფარველობითა თქვენისა უავგუსტოესისა კარისათა, და თუ ვითარ და რომლითა ღონითა იქმნების ესე, მოვანდობთ ყოველთ ქრისტიანეთა ზედა დედობრივსა კეთილმზრუნველობასა უდიდებულესობისა თქვენისასა...

მეფე ქართლისა, კახეთისა და სხვათა ერეკლე.

მეფე სრულიად იმერეთისა და სხვათა სოლომონ

მთავარი ოდიშისა და სხვათა გრიგოლ.

მთავარი გურიისა ვახტანგ.

მაგრამ მოხუცებულ ეკატერინეს ყური და თვალი დასავლეთისაკენ იყო მიპყრობილი... რევოლიუციით დამთვრალი საფრანგეთი მეფე ლიუდოვიკს თავსა სჭრიდა საგანგებოდ გაკეთებულ მანქანით... ამას წინად გაგლეჯილ პოლონეთში კოსციუშკოს შურის ძიება მოდიოდა...

საქართველოს კი ამ დროს საჭურისი აღა-მაჰმად-შაჰის ულვთო და უწყალო შურისგება ელინებოდა.. მას მერე, რაც ერეკლე რუსეთს დაუახლოვდა, სპარსეთი გადაემტერა საქართველოს... სანამ ირანის ტახტი შერყეული იყო, ერეკლეს შეხებას ვერვინ ჰბედავდა; მაგრამ, როგორც კი ამ ტახტზე მჯდე აღა-მაჰმადი დაჯდა, მაშინვე გარდასწყდა, ცეცხლით და მახვილით დამკვიდრებულიყო საქართველოში ის სპარსული პროტექტორატი, რომელიც სპარსულმა დიპლომატიამ ვერ იქნა და ვერ შეიძინა... აი, რას სწერდა აღა-მამად-ხანი ერეკლეს:—„რუსეთის საქმე და ცხოვრება ყოველ ჟამს ვაჭრობა ბაგრასტისა და მაუდის სყიდვა არის, არას დროს იმათგან ხრმლისა, შუბისა და ომის იარაღის მოხმარება არას კაცს არ უნახავს. გაბედეს და ჩვენის ქვეყნების სამზღვარში შემოვიდნენ,—ამათი გარდახდევინება და ამოწყვეტა ჩვენს მაღალ გონებაში გამოვისახეთ და ჩვენი ბედნიერი დროშები აქეთს მხარეს გამოემართა. იმ რუსებმა, რომ გაიგონეს, თავიანთის საძაგელის ადგილებისაკენვე დაბრუნდნენო...[5])

ამაოდ უხმობდა ერეკლე თავის სუვერენს—რუსეთს...—„ხომ იცით, რომ ქართლი და იმერეთი სულ ერთია... ღმერთმა ნუ ინებოს, რომ ქართლი აღა-მაჰმადმა ხელში ჩაიგდოს"...[6])—ასე სწერდა სოლომონ II-ც გეორგიევსკში მყოფ გუდოვიჩს... პეტერბურხი კი ამ დროს გუდოვიჩს იმას ურჩევდა, სოლომონი არ წააქეზო ერეკლეს შესაწევად, თორემ სტამბოლს არ იამებაო... თვით რუსებმა მეტად დააყოვნეს კავკასიის აქეთ გადმოსვლა... ვინ იცის, იქნებ, გუდოვიჩებსაც „უქართველო საქართველო" უფრო მოსდიოდა თვალში?..

არ დააყოვნა საკავშირო ტრაქტატით შეფიცულმა ქვემო ივერიამ... მეფე სოლომონი 5000 იმერელ მოლაშქრეთი, სარდალ ზურაბ წერეთლითურთ ჩამოვიდა ქართლში და გაჰყვა სპარსეთის შესახვედრად ერევნისკენ წასულ ერეკლეს და იქიდან ორნივე ერთად გამობრუნდნენ ჯარის სიმცირის გამო გამარჯვების უიმედონი... 1795 წელს ტფილისი შაჰის რისხვას შეეწირა... მხოლოდ მაშინ, როდესაც დედა-ქალაქის ქუჩები და ბანდები მოირწყვნენ ქართველთა სისხლით, დაიძრნენ ყუბანით რუსების ბატალიონები... დაიწყო რუსეთისა და სპარსეთის ომი—pro Jveria...

მაგრამ ამ ომს ერეკლეც თან გადაჰყვა და მის მერმე მთელი საქართველოც... 1796 წელს გარდაიცვალა ოთხმოცდა ხუთის წლისა და ოთხმოცზე მეტი ბრძოლის ზიარი მეფე... გარდატეხილი კვერთხებით მიასვენეს მისი ცხედარი მისმა სახლთუხუცესებმა თელავიდან მცხეთაში... და მეტი არც კი გამთელებულა ქართველ ჰოფმარშალთა კვერთხები... ორის წლის შემდეგ, 1798 წელს, იმპერატორი ქალი ეკატერინეც გარდაიცვალა... ისე მოჰკვდნენ სუვერენი და ვასალი, რომ ერთმანერთი არ უნახავთ, თუმცა მეფე ერეკლე მიპატიჟებულიც კი იყო საგანგებოდ, ყირიმში მოგზაურობის ჟამს..

ვალერიან ზუბოვის წინამძღოლობით და ქართველთა დახმარებით, რუსის ზარბაზნებმა და ხიშტებმა დაიპყრეს საქართველოს მტერ მეზობელი—დერბენტი, შამახა, განჯა... მაგრამ მეზობლების პოლიტიკურ საფლავებში საქართველოც ჩაიფლო... გენერალ კუროპატკინის თქმისა არ იყოს, რუსეთმა საქართველოს გარემო მდებარე სახანოები იარაღის ძალით რომ დაიპყრო, თავის ნებით შეერთებული საპროტექტორატო საქართველო იარაღით დაპყრობილ სამთავროებში მოემწყვდა და, ბოლოს, სამხედრო-დამხმარე ოკუპაცია ანექსიად გარდიქცა... ნაპოლეონის ომით დაღალული ევროპა არ გაერია აზიის საქმეში, თუმცა ინგლისმა და საფრანგეთმა დიპლომატიური პროტესტი განაცხადეს... იმერეთმა სცადა ქართლ-კახეთის ისტორიული ტრადიციის განგრძობა, მაგრამ ვერა სწია სამხედრო და საფინანსო ტვირთი, მოსტყდა და ისევ მეფე ერეკლესგან ნაჩვენებ გზას დაადგა...

ისტორია სასამართლო კი არა, მხოლოდ პოლიტიკის აკადემიაა... საქართველოს ისტორიულ განგების ხელი სწორედ იმაში სჩანს, რომ მეფე ერეკლეს პოლიტიკის დედა-აზრმა—საქართველოს გაერთიანების იდეამ—მაინც ხორცი შეისხა... ტყუილად კი არ ულოცავდა თავის ხელისუფალს თ-დი ციციშვილი: „ქართველ მეფე ალექსანდრესგან გაყრილი ამერ-იმერეთი რუსმა იმპერატორმა ალექსანდრემ შეჰყარაო". დღეს მთელი საისტორიო, საეთნოგრაფიო და ბუნებრივი, მთელი სამაჰმადიანო და საქრისტიანო საქართველო გაერთიანებული ერთ იმპერიის საზღვრებში... დავით აღმაშენებლის და თამარის შემდეგ, არასოდეს ყოფილა საქართველო ასე გამრავლებული, ასე გამდიდრებული და ასე გაერთებული გრძნობით, და აზრით და ნებით ასე ჰაბუკი... ჩვენს თვალწინ დასრულდა მთელი ისტორიული ციკლი—სპარსეთ-ოსმალეთისა, საქართველოს ბედითი პოლიტიკას რომ სჭედდა მე-XV საუკუნიდან დაწყებული ვიდრე დღემდე... იმ პოლიტიკას, ნიკო ნიკოლაძე რომ ამბობდა: „სანამ ოსმალოს და სპარსეთის ადგილს რომელიმე სხვა რასა ან სამეფო არ დაიჭერს, საქართველოსთვის არავითარი სხვა პოლიტიკა არ იარსებებს იმის გარდა, რომლითაც ხელმძღვანელობდნენ იძულებით საქართველოს უგონიერესი პატრონები: ალექსანდრე კახელი, ალექსანდრე იმერელი, ვახტანგ კანონმდები, თეიმურაზ მეორე, დიდი ერეკლეო [7])... რასები იცვლებიან... გარნა ვინ იქმს ერეკლობასა?..

გ. ვეშაპელი.

[5]) ნახეთ ა. ცაგარელის „გრამოტები" ტ. II. ნ. 1. ფ. 134.

[6]) იქვე წ. 2. ფ. 99.

[7]) ნ. ნიკოლაძე—„ჩემ პოლიტიკაზედ"—ფ. 82.

◆ **ქალაქთა კავშირის** განყოფილებას სხდომა ჰქონდა ამა თვის 3-ს და დაადგინა, რომ დღესასწაულებზე, ხელმოკლეობის გამო, საჩუქრები არ მისცეს მოსამსახურეებს. თავმჯდომარემ კრებას აუწყა, რომ აქაური უმაღლესი მთავრობა დიდად კმაყოფილია კავშირის დაწესებულებათა მუშაობით ტრაპიზონსა, აღმოსავლეთ სპარსეთსა და სარაყამიშში. კრებამ გადასწყვიტა ახალი თანამდებობა დააწესოს ხნის-მუშის მიმართულებით კავშირის განყოფილების წარმომადგენლად მოაგარაკეთა საზოგადოების კრებაზე არჩეულ იქმნა პ. მ. დოლუხანოვი.

◆ **აღმასრულებელ სასურსათო კომისიას,** რომელიც ამას წინად აირჩია ქალაქის საბჭომ, პირველად ჰქონდა კრება იანვრის 3-ს. დადგენილ იქმნა: კომისია ყოველ კვირაში შეიკრიბოს ხუთშაბათობით. აგრეთვე გადაწყდა, რომ კრებას ესწრებოდეს თბილისის კოოპერატივების მხრივ 2 წარმომადგენელი სათათბირო ხმით. ასეთსავე ხმით კომისიის კრებებზე ადგილი ექნებათ სასურსათო საქმის მცოდნე სხვა პირთაც. კომისიამ დაავალა ქალაქის გამგეობის სასურსათო განყოფილებას, რომ შემდეგ კრებისათვის ვრცელი მოხსენება წარუდგინოს მას თბილისში სასურსათო საქმის მდგომარეობის შესახებ. არჩეულ იქმნა კომისიის წევრთა შორის მცირე კომისია, რომელშიაც წევრებად შედიან ბ-ნი კაზაკოვი (თავმჯდომარე), ბ-ნი ძიძიშვილი და მარტიროსიანცი. კრებაზე სურვილი გამოითქვა, რომ სურსათსანოვაგეზე ნიხრის დაწესება ამ კომისიის კომპეტენციას შეადგენს, მაგრამ ეს საკითხი გადაუწყვეტელი დარჩა. აგრეთვე გადაუწყვეტელი დარჩა აღძრული საკითხი, რომ კომისიამ თავის წევრთა შორის აირჩიოს 2 კაცისაგან შემდგარი აღმასრულებელი ბიურო. კომისიის წევრები ამ დღეებში დაათვალიერებენ ქალაქის სასურსათო პუნქტებს და ადგილობრივ შეამოწმებენ, რამდენი ფქვილი, შაქარი და სხ. მოეპოვება ამ ჟამად ქალაქის თვითმართველობას.

◆ **სურსათის შესაძენად.** კახეთის საკრედიტო დაწესებულებათა კავშირის წარმომადგენელი ბ-ნი გ. ბურჭულაძე და თბილისის გუბერნატორის რწმუნებული აგრონომი გიორგი დალაქიშვილი იანვრის 7 თბილისიდან ჩრდილო კავკასიაში გაემგზავრნენ სასურსათო საქმეების გამო.

◆ **სახალხო კითხვები.** როგორც აღნიშნული გვქონდა, მთავრობამ ნება დართო წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების სახალხო კითხვების მომწყობ სექციას კითხვები მოაწყოს საგუბერნიო სატუსაღოში. სექციის წევრს ბ-ნ ილია ნაკაშიძეს სატუსაღოს უფროსმა დიდი დარბაზი დაუთმო, რომელიც 300 კაცს დაიტევს, კითხვების გასამართად. კითხვები იანვრიდანვე დაიწყება.

◆ **საულელტეხილო** რკინის გზის გამოკვლევას ინჟენერი-გენერალი მომავალ მარტში დაასრულებს.

◆ **ალ. სუმბათაშვილი.** სამეცნიერო აკადემიის სიტყვა-კაზმულ მწერლობის განყოფილებამ ამ განყოფილების საპატიო წევრის კანდიდატად დაასახელა ჩვენი თანამემამულე დრამატურგი ალ. სუმბათაშვილი-იუჟინი.

◆ **კავკასიის** სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საწყობებში, საცა ინახება შაბიამანი და გოგირდი, დაკეტილი იყო ამა თვის 7-ს და აგრეთვე დაკეტილი იქნება ამა თვის 9-ს და 10-ს, რადგან საზოგადოება ანგარიშს ადგენს და საქონელი უნდა დასთვალოს.

◆ **საღამო „ახალ კლუბში".** 6 იანვარს „ახალ კლუბში" გაიმართა ჩვეულებრივი საღამო, რომლის წმინდა შემოსავალი უნდა მოხმარდეს ქართულ გიმნაზიის ღარიბ მოსწავლეთ. საღამოს დიასახლისად ბრძანდებოდა კნ. ე. ი. აფხაზისა, ხოლო საღამოს ფაქტიურ გამგედ—თავ. მ. დ. ჭავჭავაძე. საღამომ დიდძალი საზოგადოება მიიზიდა და ჩინებულად ჩაიარა. საუცხოვო იყო ცოცხალი სურათები ილია ჭავჭავაძის „დედა და შვილი"-დან, რომელიც მოაწყვეს ბ-ნმა ი. ნიკოლაძემ და თავ. მ. ჭავჭავაძემ. აგრეთვე მშვენიერი იყო აპოთეოზი, რომელსაც დამსწრე საზოგადოება აღტაცებით მიეგება. მხიარულებამ დილის 4—5 საათამდე გასტანა. წმინდა შემოსავალი 5,000 ანეთს გადააჭარბებს.

**ჭიათურა**

ამ დღეებში ბ. ბუაჩიძემ მოიტანა შაქარი და გირვანქას 29 კაპ. ჰყიდის.

— განზრახულია აქ საქალებო საპროფესიო სკოლა გახსნან.

**ქუთაისი**

სეფე მხეიძემ სადეპუტატო საკრებულოში შემდეგი წინადადება შეიტანა: გამონახონ საჭირო საშუალება, რომ თავად-აზნაურთა წარმომადგენელს პეტროგრადში წასვლა და იქ ცხოვრება შეეძლოს, სანამ მოარიგებდეს თავად-აზნაურების ხელში გერმანელთა სალიკვიდაციო (ჭიათურის) შავ-ქვიან ადგილების გადმოსვლის საქმეს. თავად-აზნაურობამვე უნდა აღძრას შუამდგომლობა, რომ ჩვენის საზოგადო მოღვაწის ნ. ნიკოლაძის შესახებ სასამართლოს განაჩენი გაუქმდეს.

— სასოფლო-სამეურნეო საზოგადოება ჰყიდის დაფნის თესლს, გირვანქას 1 მან. და 50 კაპ. (ბალახვანის ქუჩა, ქალაქის მოედანთან). აქვე იძლევიან დარიგებას დაფნის გაშენების შესახებ.

— საზ. „რეგულიატორი" ამ დღეებში მიიღებს 1000 ფუთს ინგლისურ შაბიამანს. შაბიამანი განაწილებულ იქნება „რეგულიატორის" წევრ კოოპერატივთა შორის.

— ქალაქ ეისკიდან ქალაქს ამ დღეებში მოუვიდა 28 ვაგონი თეთრი პურის ფქვილი.

**სამტრედია**

განზრახულია სასოფლო-სამეურნეო საზოგადოება დაარსონ.

**დიდი ჯიხაიში.**

ჩვენი ქვეყანა სამეურნეო მხარეა, მაგრამ სამყოფი სარჩო ვერ მოგვყავს და, ამ ბოლო ხანებში, სისტემატიურათ შიმშილობას განვიცდით. დღეს-კი, როცა მუშა ხელი აღარა გვყავს, როცა საქონელიც ჭირმა გაგვიწყვიტა, ხომ უარესს უნდა ველოდეთ! შეიძლებოდა კიდევ გავმკლავებოდით ამ გასაჭირს, მაგრამ ცხენებიც აღარ შეგვრჩა! (კარგები წაიყვანეს), ერთი გზა-ღა დაგვრჩენია: სამეურნეო იარაღების გაუმჯობესება, მიწის ზეადაგის შესწავლა და ადგილის მიხედვით შესაფერი თესლის შერჩევა. ჩვენი აგრონომები უნდა ჩაუკვირდნენ კარგათ ამ საკითხს და გამონახონ რამე საშუალება. თორემ კვლავ შიმშილობა გველის, დღევანდელზე უარესი.

**ზუგდიდი.**

ქუთაისის გუბერნატორმა მეფისნაცვლის კანცელარიას სთხოვა ბ-ნი დვალი ზუგდიდის უფროსად იქმნეს დამტკიცებული.

**გორი.**

6 იანვარს ქალ. გორში, ქ-ნ ელ. ჩერქეზიშვილისა და ვ. აბაშიძის მონაწილეობით, გაიმართა წარმოდგენა, რომელსაც აუარებელი ხალხი მიაწყდა. უადგილობის გამო, ბევრნი უკან დაბრუნდნენ. წარმოდგენამ ჩინებულად ჩაიარა. შემდეგ დამსახურებულ მსახიობთ გაუმართეს ვახშამი. მხიარულებამ დიდ ხანს გასტანა.

**სად. სუმბათოვო.**

ფოსტა-ტელეგრაფის უფროსის წინაშე შუამდგომლობაა აღძრული აქ ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილება დაარსდეს.

**ს. ზემო-ავჭალა.**

თუმცა სოფ. ზემო-ავჭალაში რუს ინტელიგენტობა თითქმის თითებზე ჩამოითვლება, მაგრამ ამის მიუხედავათ გადასწყვიტეს ხალხის მეთაურობა. სოფელში დაარსეს მომხმარებელი კოოპერატიული დუქანი. კოოპერატივის დაარსების დროს გამგეობაში მარტო თავიანთ თავი ჩარიცხეს, ხოლო გამგეობისთვის დასახელებული ქართველი კანდიდატები მხოლოდ სარევიზიო კომისიაში მოაყოლეს, და ისიც კანდიდატებად. ასეთმა მათმა საქციელმა გამოიწვია ეროვნული შუღლი. ეს შუღლი თან და თან იზრდებოდა. ქრისტეშობისთვის 18, თანახმად ადგილობრივი მღვდლის მოწოდებისა, ზემოხსენებულ სოფელში გაიმართა კრება ეკლესიის მნათეს ასარჩევად. უწინ თუ არც ერთი ინტელიგენტი რუსი არ აკლდებოდა ასეთ კრებას, ამ კრებაზე-კი ზოგნი მათგანი დააკლდნენ, ხოლო დანარჩენთ ითხოვეს კრების გადადება. ბ. ს. სარაჯიშვილმა აუხსნა იქ მყოფ გლეხებს ნამდვილი მიზეზი კრების გადადებისა, რის გამო ერთმა-ორმა რუსმა ინტელიგენტმა შეურაცყოფაც კი მიაყენეს.

## † სტ. აპოლონ გაბუნია

**(წერილი მოსკოვიდან)**

ქრისტეშობისთვის 30, დაახლოვებით ნაშუადღევის 2 საათზე, ბრონის ქუჩაზე მიმავალ მოსკ. უნივ. სტუდენტ აპოლონ გაბუნიას, ექვს სართულიან სახლის სახურავიდან თავზე დაეცა დიდი ყინული და იქვე უგრძნობლად წაიქცია. ახლო მყოფ ერთ ქართველ სტუდენტს და შემთხვევით დამსწრე ექიმს დაუყოვნებლივ წაეყვანათ უახლოეს აფთიაქში დახმარების აღმოსაჩენათ. სიცოცხლის ნიშნები-ღა ეტყობოდა თურმე. აქ რამოდენისამე წუთით მოსულა გონს და ორიოდე სიტყვის თქმაც მოუსწრია. აქედან ეკატერინეს სახელობის საავადმყოფოში გადაიყვანეს ისევ გრძნობა დაკარგული. მაშინვე აცნობეს ექიმ მ. ზანდუკელს და რამდენსამე ქართველ ამხანაგს. ექიმი ზანდუკელი დაუყოვნებლივ მოელაპარაკა საავადმყოფოს უფროს ექიმს და სთხოვა, რომ ყოველი ღონისძიება ეხმარათ საბრალოს გადასარჩენათ. სამწუხაროდ ისე მძიმედ ჰქონდა დაშავებული თავი და შერყეული ტვინი, რომ ექიმმა მაშინვე უიმედო პასუხი მოგვცა. მართლაც, ერთი საათის შემდეგ ზანდუკელს აცნობეს აპალონის გარდაცვალება.

სწრაფლ მოედო მთელ ქართველ კოლონიას ეს თავზარდამცემი ამბავი. ამხანაგები ყველანი გაეშურნენ, ზოგი საავადმყოფოში და ზოგიც მის ბინაზე, მაგრამ სანუგეშო ამბავი აღარსად დახვდათ.

ამავე საღამოს, გამგეობის სახელით, ბ. ზანდუკელმა დეპეშით აცნობა ეს საშინელი ამბავი აპალონის მშობლებს.

მთელი ხარჯი დასაფლავებისა თავს იდო მოსკოვის ქართველმა საზოგადოებამ, რომლის საქმის მწარმოებლის თანამდებობას ასრულებდა განსვენებული.

ჯერ სულ ახალ-გაზრდა იყო აპალონ გაბუნია, მაგრამ ცხოვრებას უკვე დინჯის და სერიოზულის თვალსაზრისით უყურებდა. ბევრ კარგ და პატიოსან სურვილებით იყო გამსჭვალული მისი ნორჩი და კეთილი გული. შორიდან შესტრფოდა თავის საყვარელ სამშობლოს და ნატრობდა ენახა თავისი ქვეყანა გახარებული და ჭირისაგამ განთავისუფლებული. ჭკვიანსა, კეთილსა და ლმობიერის ხასიათისას პატივისცემა და სიყვარული ჰქონდა დამსახურებული ყველა ნაცნობ-ამხანაგთა შორის.

მოსკოვის ქართველმა საზოგადოებამაც დაჰკარგა მასში პატიოსანი და კეთილი თანამშრომელი.

საუკუნოდ იქნება ხსენება შენი ჩვენ შორის, პატიოსანო ამხანაგო აპოლონ.

ვ. კ.

## ბათომი

როგორც ვიცით, ჩვენი მწერალ-მსახიობი ვ. შალიკაშვილი ამ ჟამად ბათომშია. იგი აქ მიწვეული იყო ზამთრის სეზონისთვის. მაგრამ მუშაობის მაგიერ ლოგინში წევრს და მუშაობის გაგრძელება არ შეუძლია. ბათომის დრამატიულ საზოგადოების გამგეობამ გადასწყვიტა სეზონის გათავებამდის აძლიოს ის ორასი მანეთი, რომელიც დღემ დის ჰქონდა თვიურათ გადაწყვეტილი ეს დიდი ნუგეშია ბატ. ვ. შალიკაშვილისთვის, მაგრამ რას ფიქრობს საზოგადოება, რომლისთვისაც თავგანწირულათ მუშაობდა ჩვენი მწერალ-მსახიობი. ნუ თუ დრო არ არის, თავის მუშაკთ თვითონვე მიეშველოს. დროა მოეწყოს ფართო საზოგადოებრივი დახმარება.

ვ. ს—შვილი.

## წერილი სამეგრელოდან

წარსულ წლებში მოუსავლობით მეტად გაუჭირდა სამეგრელოს მკვიდრთ. მაგრამ წარსული გაჭირვება მონაგონი იქნება იმასთან, რასაც ეს წელიწადი გვიმზადებს. წინათ მთავრობა მაინც ზრუნავდა ხალხისათვის, სცდილობდა სიმინდი მოეწოდებინა დამშეულთათვის. სიმინდის ფასიც ფუთზე მანეთსა და ათ შაურის ზევით არ ასულა. სულ სხვაა დღეს.

ყველა იმახის, რომ წლეულს სამეგრელოში კარგი მოსავალი მოვიდაო, ხალხს არ გაუჭირდებაო. მართალია, მოსავალი კარგი მოვიდა, მაგრამ ერთი რამავიწყდება ყველას, სახელდობ ისა, რომ ბევრი ადგილი დარჩა მოუხნავ-დაუთესელი მუშა-ხელის ნაკლებობისა გამო. დაითესა ძალიან მცირე ნაწილი სამეგრელოსი. რაც მოვიდა, სულ ბევრი, სამ-ოთხს თვეს გაჰყვეს მცხოვრებთ.

როგორც კი აიწია სიმინდის ფასმა, მაშინათვე იწყეს გაყიდვა. ზოგნი დღესაც ჰყიდიან კარზე მომდგარ ათას გვარ გაჭირებისათვის პასუხის გასაცემად. სასიმინდეში სულ ცოტას იტოვებენ სარჩოდ. პურის ფქვილის მოუტანლობის მიზეზით ერთი-ორად მიაწყდა ხალხი სიმინდის ფქვილს. სამეგრელოს დაბა-ქალაქებში, საცა უწინ პურსა ხმარობდნენ, დღეს მჭადითა და ღომით იკვებებიან. ამან საშინლად აწია სიმინდის ფასი, სახელდობ სიმინდი ფუთი ორ და ათ შაურად იყიდება გლეხს დაბა-ქალაქებში დღეს სიხარულით მოაქვს სიმინდი და ჰყიდის და იმას კი არა ჰფიქრობს, რომ-ორ-სამ თვეს უკან თვითონ მოუხდება სიმინდის ყიდვა და ერთიორად ძვირადაც, ვიდრე თვითონა ჰყიდის თავისს ჭირნახულს. მოსალოდნელია სასყიდლადაც ვერ იშოვოს თავისი სარჩო.

საჭიროა სოფლის ინტელიგენციამ და მთავრობამ ამ გარემოებას ახლავე მიაქციოს ჯეროვანი ყურადღება. ჩვენის აზრით, ერთად-ერთი საშუალება ის იქმნება, რომ აეკრძალოს გლეხს ჭირნახულის გაყიდვა. უნდა დაინიშნოს ოცის თავები და თითოეულს მათგანს დაევალოს თავიანთს სოცისთაოში არავის გააყიდვინოს სიმინდი. მით უფრო, რომ ომიანობასაც ბოლო არ უჩანს და გამოკვების საქმე თუ უარესად არ გართულდება, გამოსწორების იმედი ტყუილი ოცნება იქნება.

მაშ დროით შევუდგეთ საქმეს და სოფელს შევანარჩუნოთ სარჩო. თორემ მერე გვიანღა იქმნება, ძალიან გვიან. დაიღუპება მთელი მხარე, შიმშილის მსხვერპლნი შევიქმნებით.

დ. დ—ნი.

## დაბა-სოფლები

**სოფ. ანაგა** (ქიზიყი). 30 წელიწადზე მეტი იქნება, რაც ბოდბის წმიდა ნინოს მონასტერში მოისპო ქართული წირვა-ლოცვა, სწორედ მას აქეთ, რაც ეს მონასტერი რუს დედათა მონასტრად გადააკეთეს. ის დღეა და ეს დღე, წმიდა ნინოს სავანეს აღარ სმენია ის ენა, რა ენაზედაც ეს წმიდანი ქადაგებდა ქრისტეს სჯულს და რა ენითაც მან განანათლა ქართველი ერი. ეს ხომ სამწუხაროა, მაგრამ უფრორე სამწუხაროა ერთი გარემოება: 14 იანვარი წმიდა ნინოს დღეობაა. ამ დღეს მთელი ქიზიყი—დიდი და პატარა, მოხუცი და ახალგაზდა იკრიბება ბოდბეში, მუხლს იყრის წმიდა ნინოს მცხედრის წინაშე და სასოებს დასტკბეს ქართულის წირვა-ლოცვითა და ქართულ, მშობლიურის გალობითა. მაგრამ, დახე, ბედის მწარე დაცინვას! ამ დიად დღეს მის ყურებს ესმის მარტოოდენ უცხო ენაზე წირვა-ლოცვა და ხედავს შემოსილ რუს ეპისკოპოზს. განცვიფრებული კეთილ-მორწმუნე თავის თავს ეკითხება: „ნუ თუ საქართველოში არ მოიპოვება ერთი ქართველი ეპისკოპოზი, რომ ამ დიდებულ დღეს გვიწიროს ქართულად, ნუ თუ მთელის წლის განმავლობაში ერთი დღით ნებას არ გვაძლევენ, რომ ქართულად ვადიდოთ ღმერთი და ჩვენი განმანათლებელი წმიდა ნინო?"

მოახლოვდა 14 იანვარი და საჭიროა ქიზიყის ინტელიგენციამ და სამღვდელოებამ ნება ითხოვოს ამ დღეს ღვდელთ-მსახურება ბოდბის წმ. ნინოს მონასტერში ქართულ ენაზე შესრულდეს და, ამასთანავე, ეს წესი სამუდამოდ დაკანონდეს. ესეც ხომ ავტოკეფალია არ არის!

ანაგელი.

რედაქტორ-გამომცემელი
სანდრო შანშიაშვილი


## ამიერ-კავკასიის რკ. გზის

**მატარებლების მიმოსვლა**
(დრო ნაჩვენებია თფილისის)

**თბილისიდან გადის:**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ბათუმისკენ | საფ. | № 3, | 11.03 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 9, | 10.33 | სად. |
| ბორჯომისკენ | სამგზ. | № 19, | 3,20 | დღ. |
| „ | „ | № 17, | 8.27 | დილ. |
| გორისაკენ | სამგზ. | № 61, | 9.10 | დილ. |
| ბაქოსაკენ | ჩქარ. | № 6, | 11.13 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 8, | 3.54 | დღ. |
| „ | საფ. | № 4, | 9.28 | სად. |
| ყარსისაკენ | სამგზ. | № 4-3, | 11.13 | სად. |
| თელავისაკენ | | № 4, | 8 „ 58 „ | დილ. |

**თფილისში მოდის:**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ბათუმიდან | სამგზ. | № 10, | 9.52 | დილ. |
| „ | საფ. | № 4, | 8.38 | სად. |
| ხაშ.-ბორჯ. | სამგზ. | № 20, | 7.43 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 18, | 10.12 | სად. |
| გორიდან | სამგზ. | № 62, | 6.34 | სად. |
| ბაქოდან | საფ. | № 3, | 10.08 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 7, | 4.12 | სად. |
| „ | ჩქარ. | № 5, | 8.48 | სად. |
| თელავიდან | | № 3, . 6 „ | 24 „ | სად. |
| ყარს-ჯულფ. | საფ. | № 3***, | 8,10 | დილ. |

მიიღება ხელის მოწერა 1917 წლისათვის:
სათეატრო-სალიტერატურო, სამხატვრო-კვირეული ჟურნალი
# თეატრი და ცხოვრება
(წელიწადი მეხუთე)

გამოვა სრული პროგრამით, უკვე ცნობილი რედაქციით.
წლიური ხელის მომწერნი მიიღებენ ორ პრემიას

**აკაკის** „ნაკვესები და ბრძნული სიტყვები" ავტორის სურათით, ფაქსიმილეთი და ბიოგრაფიით.
**ჯ. ლომთათიძის** „რჩეული აზრები" ავტორის სურათით, ფაქსიმილეთი და ბიოგრაფიით.

**ჟურნალი პარტიათა გარეშეა, პროგრესიული მიმართულებისაა.**
**ჟურნალში მონაწილეობას მიიღებენ ჩვენი დამსახურებული და ახალგაზდა ნიჭიერი მწერლები: მგოსნები, კრიტიკოსები, მუსიკოსები, მხატვრები.**

**ჟურნალის ფასი** ორივე პრემიით წელიწადში ღირს 8 მან. ნახევარის წლით 4 მან. 50 კაპ. თითო ნომერი ყველგან 15 კაპ. ფულის შემოტანა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება: ხელის მოწერის დროს 3 მ., პირველ მაისამდე—3 მ. პირველ ენკენისთვემდე 2 მან.

**ხელის მოწერა მიიღება:** თბილისში, „სორაპნას" **სტამბის კანტორაში** (მადათოვის კუნძული, № 1, ვორონცოვის მეორე ხიდის ყურში). ქალაქ გარეთ ხელის მომწერთ ფული უნდა გამოგზავნონ შემდეგის მიმამართით: Тифлисъ, ред. „Театри да Цховреба" Іосифу Имедашвили.

რედაქტორ-გამომცემელი **ანნა იმედაშვილისა.**

„სავაჭრო სახლი" (საწყობი)
# ერ. ივ. ჭავჭანიძისა და ი. ი. გველესიანისა
იმყოფება შუა ბაზარში, მანთაშევის ქარვასლაში.
**ისყიდება პარტიობით ყოველნაირი სიგალანტერეიო საქონელი:**
**ჩულქეულობა, ქოლგები, თეთრეულობა, ვიშივკები, კოსმეტიკა და სხვა და სხვა ახალმოდის საქონლები ხელმისაცემ ფასებში სხვა და სხვა სოფლის კოოპერატივებისთვის.**
(101—წ.)

გამოცემა „ამხანაგობისა"

გამოვიდა დ იყიდება ყველგან

**„ბედი ქართლისა"**
**ნიკ. ბარათაშვილის**
**სრული ფაქსიმილე**



ფასი ერთი მანეთი.

წიგნი წარმოადგენს სრულს ასლს ნ. ბარათაშვილის ხელნაწერისას (ვეზირიშვილის ვარიანტი).

ვისაც ფოსტით უნდა გამოწერა, უნდა მიმართოს: Тифлисъ Бол. Ванкская № 12. ივანე მათეს ძეს ნაცვლიშვილს.

ამხანაგობა
# „კახური მეღვინეობა"
**ჩუბუნიშვილისა და სონღულაშვილისა**
კირკის (კიროჩნი) ქუჩა, № 12.
საკუთარ მამულებიდგან მივიღეთ საუკეთესო ღვინოები,
**თეთრი და წითელი, გურჯაანიდან, ვეჯინიდან**
და კახეთის სხვა ღვინით განთქმულ სოფლებიდან.

ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროს უწყებაში მყოფი
# კომერციულ ცოდნათა კურსები
# ტ. მ. ფილოიანისა
ორივე სქესისთვის
(თბილისი, მიხეილის პროსპ., № 24, ტელ. № 976)

**თხოვნები მიიღება:** 4—5 საათ. საღამოთი. მეცადინეობა დაიწყება 15 იანვრიდან. პროგრამები და წესდებანი მსურველთ გაეგზავნებათ, ან მიეცემათ უსასყიდლოთ კურსების კანცელარიაში.
(20—340—14)

სამეცნიერო-პედაგოგიური და სალიტერატურო ჟურნალი
# „განათლება"
(წელიწადი მეათე)

ჟურნალის მიზანია ხელი შეუწყოს ქართულს ოჯახებსა და სკოლებში წესიერად სწავლა-აღზრდის საქმეს ეროვნულს ნიადაგზე. „განათლება" აწვდის მკითხველებს წერილებს, როგორც სწავლა-აღზრდის შესახებ, აგრეთვე მეცნიერების ყოველგვარ დარგიდან დ სიტყვა-კაზმულ მწერლობიდან. ჟურნალი გამოვა ჩვეულებრივად ყოველ თვე გარდა ზაფხულის ორის თვისა (ივლისი დ აგვისტო).

ჟურნალში ჩვეულებრივად იქნება ცალკე განყოფილება, სადაც დაიბეჭდება ყოველგვარი ცნობები ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა და მისი განყოფილებათა მოქმედების შესახებ.

ხელის მოწერა მიიღება **თბილისში** ქართულ გიმნაზიაში, „ნაკადულის" რედაქციაში, წერა-კითხვის საზოგად. წიგნის მაღაზიაში ვ. ავალიშვილთან, „Новая рѣчь"-ის წიგნის მაღაზიაში კიკნაძესთან და „განათლების" კანტორაში, ოლღას ქ. № 6. წლიურად ჟურნალი გაგზავნით ღირს 5 მან., თბილისში ხელისმომწერთათვის 4 მან., სოფლის სკოლის მასწავლებლებს, სახალხო სამკითხველოებს, საშუალო სკოლის მოწაფეებს, სტუდენტებს, მუშებს ჟურნალი დაეთმობათ 3 მან. 50 კაპ. ცალკე ნომერი ჟურნალისა ღირება 50 კაპ.

**მისამართი:** Тифлисъ, Дворянская Грузинская Гимназія Л. Г. Боцвадзе.

რედაქტორ-გამომცემელი **ლ. გ. ბოცვაძე.**

# თევზის მრეწველნი
# ძმ. მეგვინეთუხუცესები
**პუშკინის ქუჩა, საკუთარი სახ., № 9, ტელეფონი № 712.**

ყოველ დღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „**ლ. მაილოვის-ზვით**, სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის **ხიზილალა**, მცირე მარილიანი, შავი „**მუშოჩნი**" **ხიზილალა**. მივიღეთ საუკეთესო სალიანის **შამაიები** მუდმივ გვაქვს ცოცხალი თევზი. აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო, გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.




სტამბა „ცხოვრება" ა. კალანდაძისა, გაბაევის შესახვევი № 4